

„ძნელი იყო 30 ოპერაციის გადატანა... საავადმყოფო ჩემთვის სახლიც იყო და სკოლაც...“ (გვ. 146)

„მაქვს გრძელი, ბოლოში ლურსმანმიჭედებული ჯოხი, რომლითაც შემიძლია გავალო და დავკეტო კარი, ყველა ნივთს მივუჩინო თავისი ადგილი...“ (გვ. 140)

„ზურგის გაუსაძლისი ტკივილის მიუხედავად, ყველაფერი ვცდილობ, ჩემით გავაკეთო, მარცხენა ხელით, რადგან მარჯვენა დიდი ხანია, არ მემორჩილება. როგორ ვახერხებ? დიდი წვალების, ხანგრძლივი ვარჯიშებითა და წლების განმავლობაში გამომუშავებული წესრიგითა და ჩვევებით...“ (გვ. 140)

„წლების წინ, როცა აფხაზეთიდან გამოდევნილები ლუდუშაურის საავადმყოფოს ვაფარებდით თავს, დედაჩემა ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე სილამაზის სალონს მიაკითხა, უამბო ჩემ შესახებ, უთხრა, რომ „პედიკურშად“ მუშაობის გამოცდილება მქონდა, გამაჩნდა სათანადო სერთიფიკატიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ცივი უარი ტკიცეს - ჩვენ სილამაზეს ვემსახურებით და ასეთი ადამიანი იმიჯს შეგვილახავსო...“ (გვ. 167)

„პირველი ეტლი ანზორ ერქომაიშვილმა ჩამომიტანა იტალიიდან...“ (გვ. 161)

„ჩემი თავი საქვეყნოდ ცნობილმა ჟურნალისტმა მედეა გეგეშიძემ მთელ საქართველოს გააცნო...“ (გვ. 153)

„ეს იყო ჩემს ცხოვრებაში პირველი და, სამწუხაროდ, უკანასკნელი შემთხვევა, როცა თავი სულ სხვა ადამიანად, საზოგადოების სრულფასოვან წევრად ვიგრძენი...“ (გვ. 164)


„ფილარმონიას რომელილაც მხრიდან ჰქონია პანდუსისნაირი შესასვლელი, სადაც ვახტანგ ტატიშვილი მელოდებოდა ალექსანდრე ბასილაია და ჯემალ ბალაშვილთან ერთად...“ (გვ. 162)

მარინა გადელია

ეს ჩვები მარია



9 789941 340635



„შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ყველაფერში შეზღუდულობას. ადვილი შესაძლებელია, ამა თუ იმ სფეროში სწორედ „შეზღუდულმა“ მიაღწიოს უფრო დიდ წარმატებას, ვიდრე „შეუზღუდავმა“, ანუ სრულფასოვანმა ადა-მიანმა. ამ შემთხვევაში მთავარია განწყობა და მო-ტივაცია, როგორც უშუალოდ პიროვნების, ასევე, საზოგადოების მხრიდან“ (გვ. 167).

მადლობელი ვარ

ბუხრის თავზე რომ ლოცვანი დევს,
და მის გვერდით კიდევ - სათვალე,
მე მელოდება...
რომ ფეხაკრეფით მოვიდე შენთან
და ჩუმად გითხრა...

მ ა დ ლ ო ბ ე ლ ო ვ ა რ!

რომ ეს ცხოვრება -
ძნელი და რთული,
მარტივდება შენი წყალობით,
რომ მომეც ძალა,
მარცვალ-მარცვალ
ამეკენკა ჩემი წარსული -
ყველა ტკივილი,
ყველა ფიქრი და ყველა ოცნება -
ახლანდელიც და ფერგადასულიც...
ერთ დიდ მძივად ამეკინძა
ჩემი რწმენით და შენი იმედით,
წვალებ-წვალებით,
მაგრამ მაინც გალობ-გალობით...

მ ა დ ლ ო ბ ე ლ ო ვ ა რ!

...ბუხრის თავზე რომ ლოცვანი დევს,
და მის გვერდით კიდევ - სათვალე,
მე მელოდება,
რომ ფეხაკრეფით მოვიდე შენთან
და ჩუმად გითხრა -

მ ა დ ლ ო ბ ე ლ ო ვ ა რ!

მარინა გადელია

ეს ჩემი მარია

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2021

გამომცემელი - აფხაზეთის მთავრობა

პროექტის ავტორი და რედაქტორი - **ვენერა რურუა**
მხატვარი - **დალი მუხაძე**

გამოიცა აფხაზეთიდან დევნილ შშმ პირთა სოციალური
რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში მათი ინტეგრირების მიზნით.

აფხაზეთის მთავრობა
მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის №42.
ტელ.: (995 32) 2 37 61 44
www.abkhazia.gov.ge

© მ. გადელია

გამომცემლობა „მერიდიანი“ 2021

ISBN 978-9941-34-063-5

- 2014 წელს საქართველოში ძალაში შევიდა გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ.

„მონაწილე სახელმწიფოები იღებენ შესაბამის ზომებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი შემოქმედებითი და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და გამოყენებისათვის.“

(შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 30).

- 2020 წელს საქართველომ მიიღო კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ.

მაითხველს

ძველი, ყდაგადაცრეცილი, ერთმანეთთან ნემსით და ძაფით შეერთებული და ხელნაწერით გადავსებული რამდენიმე საერთო რვეული, სანამ ამ წიგნის სახეს მიიღებდა, ვიზუალურად და შენაარ-სობრივადაც, ჩემთვის ერთგვარი ტესტი იყო ავტორის უპრალოების, ბუნებრიობის, სიმარტივის და, თუ გნებავთ, განსაკუთრებულობის ამოსაცნობად, მით უფრო დღეს, კომპიუტერული წყობის ეპოქაში.

ამიტომ, თუ წიგნი თუ ხელში აიღე, გადაფურცლე და თვალში მოხვედრილი პირველივე ლექსი არ მოგეწონა ან ზედმეტად პრიმი-ტიული გეჩვენა, გთხოვ, არ გადადო გვერდზე - მიყევი ნელა, მოთ-მინებით, ფურცვლა-ფურცვლით და ნუ იქნები ზედმეტად მომთხოვ-ნი, კრიტიკული - დაინდე ავტორი, რომელსაც ჯერ არ იცნობ და რომელიც, მერწმუნე, არ გაგანბილებს...

თავიდანვე გეტყვი - მარინა გადელიას პოეტობაზე პრეტენზია არ აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი აშკარად პოეტური ბუნების ადამიანია და ამიტომაც ურჩევნია დაგროვილი სათქმელი ლექსად ამოთქვას, იმგვარად, როგორც მოდის - რითმით თუ ურითმოდ.

ის თავისი თავმდაბლობით, გულწრფელობით, სითბოთი, სი-მარტივით, სხარტი აზროვნებით და, შიგადაშიგ, შესაშური სიმამაცი-თაც, ბევრ რამეზე დაგაფიქრებს და, როგორც ეს ჩემს შემთხვევაში მოხდა, საკუთარ თავშიც ჩაგახედებს...

ამიტომ... მიყევი!

ამ წიგნის გაცნობის შემდეგ შეიძლება შეგრცხვეს, რომ ყოველ ცისმარე დილით არ ემადლიერები უფალს თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ დღესაც მშვიდობიანად წამოდექი საწოლიდან და... გაიარე, („საოცარია, მართლაც რა საოცარია, ღმერთო, სიარული...“) რომ, მხოლოდ საკუთარში ჩაფლულსა და გამოკეტილს, არც გახსოვს, ბო-ლოს როდის გიფიქრია ავტორისნაირ ადამიანებზე, მათ ყოფაზე, ინ-ტერესზე, ცხოვრების წესზე, ჯვარზე, რომელსაც ისინი მოთმიწებით ეზიდებიან, გზანვრილზე, რომელსაც ისინი, ჩვენგან განსხვავებით, ბიბლიური გლახაკი ლაზარეს მსგავსად, ფრენა-ფრენით გადიან.

ისინი სხვებისგან გამორჩეულები არიან და ეს გამორჩეულობა რადიკალურად განსხვავდება იმ ოთხასოიანი აბრევიატურისგან, მათი

მდგომარეობის განსაზღვრებად რომ დამკვიდრდა თანამედროვე ლექსიკაში. ეს ადამიანურ თვალთაგან დაფარული ის ქრისტიანული რჩეულობაა, რომელიც ყოველთვის ავთენტურია და არასდროს არ ეგუება ნიღაბს - ესეც ჩვენგან განსხვავებით.

მარინა გადელია შშმ პირია - საწოლს მიჯაჭვული!

25 წლის მანძილზე მშობლებს პატარა ბავშვივით ხელში ატატებული გადაჰყავდათ საავადმყოფოდან საავადმყოფოებში...

გაკეთებული აქვს 30-ზე მეტი ურთიულესი ოპერაცია!

ჰქონდა ყავარჯენების პერიოდი, შემდეგ - ეტლისაც, თუმცა დღეს, ასაკის, დევნილობის და ცხოვრების პირობების გამო პროგრესირებადმა ავადმყოფობამ, ერთიც და მეორეც, ოცნებად უქცია!

დღეს უკვე საწოლიდან ვერ დგება მარინას ხანდაზმული დედაც, მისი ერთადერთი მომვლელი და ყველაზე დიდი მეგობარი, შვილზე არანაკლებ ნატანჯი, უკეთილშობილესი და უსათნოესი ქალბატონი...

მიუხედავად თავისი მდგომარეობისა, მარინა ურთიერთობაში მაინც საოცრად პოზიტიური ადამიანია, რომელსაც შეუძლია ნების-მიერ ვითარებაში აქეთ გაგამნევოს და გაგახალისოს, იუმორით მოგიყვეს მისი ცხოვრების ცალკეული, არცთუ ისე სახუმარო ამბების შესახებ, მაგალითად, რამდენჯერ გადმოვარდნილა საწოლიდან, როცა სახლში მარტო იყო და რამდენი უწვალია, რომ ისევ ჩვეულ მდგომარეობას დაბრუნებოდა... ამგვარი თვითირონია თითქს ერთ-გვარი ფარია, რომლითაც ის შენს განწყობას და ემოციებს იცავს დამძიმებისგან და, ამავე დროს, მიგანიშნებს, რომ ამგვარი მდგომარეობა დიდი ხანია, ცხოვრების წესად აქეს ქცეული და მასში უკვე ვერაფერს ხედავს ტრაგიკულს... ეს კი, დამეთანხმებით, გმირობაა, საკუთარ თავზე, უმძიმეს ხვედრზე გამარჯვებაა, რომელსაც აპლოდისმენტზე მეტად ტირაჟირება სჭირდება.

თუმცა მარინას საოცრად გულწრფელ ლექსებს მაინც გამოაქვს სააშეკარაოზე ის სევდა და ტკივილი, ის შინაგანი მარტოობა და მოწყენილობა, რომელიც იმალება ამ, ერთი შეხედვით, ხალისიანი პიროვნების მიღმა. მკითხველი გრძნობს, როგორი ღრმა და ტევა-დია ავტორის შინაგანი სამყარო, სადაც კაკუნის გარეშე შესვლის უფლებას ის მხოლოდ ერთეულებს აძლევს. ამ სამყაროში საკუთარ, ადამიანურ სისუსტეებთან და უძლურებებთან ბრძოლა და ჭიდილი მეფობს და არა მძიმე ხვედრისგან დაჩაგრული ადამიანის საყვედური,

გულამაჩუყებელი წუნუნი და თავის მოსაწყლება... ეს კი შეუძლებელია, მკითხველმა არ შეამჩნიოს და სათანადოდ არ დააფასოს.

მარინა გადელია აფხაზეთში, ქ. გალში დაიბადა ცერებრალური დამბლით და მას შემდევ მისი ცხოვრებაც ამ გზანერილზე გადის პირველი ნაბიჯის სიხარულის, ბავშური განავარდების, დახუჭობანას, სახტუნელას, დაფასთან კარნახის მოლოდინის (მას საერთოდ არ უვლია სკოლაში), ბიჭის ცქერისგან წაკიდებული აღმურის თუ კიდევ ათასი, ჩარჩოში ჩასასმელი ამგვარი მოგონებების გარეშე, მაგრამ მაინც თავისებური სიხარულით, სიყვარულით, რწმენით, იმედით და, რაც მთავარია, მადლიერებით... ანუ - ლირსებით!

თუკი პიროვნებას ჩვევების ერთობლიობა აყალიბებს, მარინა აშკარად შემდგარი, ლირსეული პიროვნებაა და ამაში თქვენ მარტოოდენ 140-ე გვერდის წაკითხვა დაგარნებული არ არის. „ერთი დღე, როგორც სხვა დანარჩენი“ - ასე ჰქვია ავტორის ჩანაწერს, რომელშიც აღნერილი თითოეული წვრილმანი ნათელი მინიშნებაა იმისა, თუ როგორ შეიძლება გაიმარჯვო უძლურებაზე, როდესაც ეს ძალიან გინდა, როგორ შეიძლება უფრთხოლდებოდე გარშემომყოფებს შენი შინაგანი ყოფითი კულტურით, საკუთარი ფასეულობების დაცვით, არმოდუნებით, მუდმივი სიფხიზლითა და შემართებით, მაშინაც კი, როდესაც უბრალო ძენრის გამოცვლა-გასწორებისათვის სამი საათი გჭირდება.

ნახეთ, არ გამოტოვოთ 140-ე გვერდი!

მარინას ბევრი რამ აკლია, ძალიან ბევრი. თუმცა ამჟამად მხოლოდ რამდენიმე რამეზე ოცნებობს - შეეძლოს გამოცდილი მეთოდისტ-მასაჟისტის აყვანა, ჰყავდეს მისთვის მოსარგები ეტლი, იცხოვროს სახლში, სადაც იქნება პანდუსები და ბოლოს - შემოიაროს საქართველო, რომელიც სიგიურემდე უყვარს.

არა მგონია, შეუძლებელზე ოცნებობდეს!

მე კი, როგორც რედაქტორმა, შევეცადე ვირტუალურად მაინც ამეხდინა მარინას ყველაზე უმთავრესი ქალური ოცნება („მარის დავარქმევდი მე ჩემს გოგონას“) ... ამიტომაც გავბედე და, მასთან შეუთანხმებლად, სიურპრიზის სახით, კრებულს, ანუ, ასე ვთქვათ, მისი შემოქმედებითი ორსულობის ნაყოფს, სათაურად „ეს ჩემი მარია“ შევურჩიე.

ვენერა რურუა

ლექსიგი



ჩემი სივრცე და ჩემი სამყარო
უცხოა შენთვის,
ნურც შეეცდები ჯიქურ შემოჭრას,
მით უფრო - თვალთვალს...
დააკაკუნე,
მხოლოდ ერთხელ დააკაკუნე...
ოღონდაც მოდი და გახსოვდეს
აქვე ვარ - კართან!



მომბეზრდა ზამთარი
გაზაფხულს ველოდები
და ვიცი, რომ უეჭველად მომიკაკუნებს...
მაგრამ როდესაც ლოდინი მომბეზრდება
ოცნებებში ჩავიძირები და
გვირილებით მორთულ მინდორზე
ისე მივრბივარ,
თითქოს უკან ვიღაც მომსდევდეს...



ვერ მიგატოვე, უყურადღებოდ,
ვერ მიგატოვე...
ვერ მივატოვე შენზე ფიქრი,
ვერ მივატოვე,
ნისლიან მთებში ჩაიხლართა ჩვენი გზა გრძელი,
როცა მივხვდი, რომ
გამექეცი ჩუმად, უსიტყვოდ
როცა მივხვდი, რომ
ჩემს ტკივილთან დამტოვე ისევ,
როცა მივხვდი, რომ
სამუდამოდ
მარტო დამტოვე.



მომენატრე და სევდის მდინარის
გალმა გავედი...
მშვენიერი ამინდი იდგა -
უმარტივესად ფეთქავდა მარტი
და ნაცნობი სურნელით
იმ ბედნიერ წამებს მიცოცხლებდა,
შენ რომ მაჩუქე...



შენზე ფიქრებს ვბედავ მალვით,
მთვარეს ვატან ნაფიქრალს...
ველზე ვდგები მოჩითულზე
და ყვავილებს -
ვარდს, გვირილას, იასამანს,
მხოლოდ ჩემთვის,
მხოლოდ ჩემთვის
შენი ხელით დავკრიფავ.



გამოვექეცი უსასრულობას,
ტკივილს, ლოდინს
და დასერილი გულის
აღმართ-დაღმართებს
მშვიდად დავადექი...
სანთელი ლვივის და
ბინდბუნდში იმ გზას მიჩვენებს,
საიდანაც ერთხელ უკვე გამოგექეცი
და რომლითაც ისევ შენთან
უნდა დავბრუნდე!



ძველი ქსოვილით ვკერავ სიახლეს
და მოგონების ბანცში ვაბანდებ,
გუშინდელ ფიქრებს ვარემონტებ ახალი აზრით,
გიმზადებ სათქმელს...
და როცა მოხვალ, მე დაგხვდები
შეკრული ბარგით,
ფარჩის კაბით და
ს ა ი დ უ მ ლ ო თ ი,
დიდი ხნის წინ შენ რომ გამანდე.



შორს ხარ, მაგრამ როდესაც წერილს გწერს,
ჩვენ შორის მანძილი არ არსებობს...
აი, რატომაც მიყვარს წერილები.



ვცდილობ, თავი შეგადარო,
(დღესაც ვცდილობდი),
მაგრამ ხომ ხედავ,
ძველ ოცნებას რომ არ ვეშვები
შენსავით აღმართს ვერ ავდივარ,
და ვერასდროს ვერ დაგეწევი...
ამიტომ აღმართს შევეშვი და
იქვე ვიზილე -
იმ დიდ დაღმართზე
ორივენი თავით ვეშვებით.



ერთი დუმილი დამრჩა ზეცამდე,
სათქმელი ისევ სივრცეში გაწვა,
ვისი ბრალია, რატომ ვეკიდე,
უცნაურ ბედის უმწეო ბორბალს.
გზა სიბერემდე ახლოა აწი,
გადამტყდარია სხივი იმედის,
ბოლო მზერასაც ავიტან, მჯერა,
ჩემს ერთფეროვან წარსულს ვიგონებ.
სიცოცხლეს თუკი აღარ ვახსოვარ,
გზა ტკივილისა ჩემია ისევ.



ნუთუ შენ, ღმერთო, ასე რომ ვწვალობ...
არ გებრალები?
...შენით ვცოცხლობ და ვხარობ,
როცა ტკივილებს არა აქვს ბოლო
და როცა თვალებს ცრემლებში ვახრჩობ,
როცა გულს ნისლი დაბურავს თეთრად,
მაშინაც შენით ვცოცხლობ და ვხარობ...
არ გებრალები, ჩემო ძვირფასო,
იმედო ჩემო, ასე რომ ვწვალობ?



ერთხელაც მომისმინე,
დრო არის ჩემი წასვლის
და თუ გიყვარდე, მითხარი,
რა ბედი მელის,
მეჩქარება, გემუდარები,
ცხოვრება მიქრის,
ვერ დაგეწევი,
წამით შეჩერდი,
რამე მითხარი,
ზღვისკენ რომ მიგაქვს
ჩემი სათქმელი.
სანთელი დნება,
სანთელი ქრება,
ჩემი სამეფო დუმს.
ლოდინი ჩემი
ფეხზე დადგომის
იქნებ ჩემსავით წუხს.
კოშკი უფლისა
უკვე იგება,
თურმე მას ასე სურს,
მაშინ ამდენი ტანჯვა-წამება
რაში სჭირდება სულს?!



არ ლირს ყოველივე დაინახო,
არ ლირს ყოველივე მოისმინო...
თუ გინდა ცხოვრება გაინაღდო
და ზედმეტი ბარგი მოიცილო.



ყველაზე მტანჯველი ლოდინი ყოფილა
შესვედრა - ლოდინზე ძნელი,
უფრო ძნელი კი დუმილი ყოფილა,
დუმილი - ყველაფრის მთქმელი...
ტანჯვაზე მტანჯველი ტკივილი ყოფილა
ტკივილი - ცხოვრება ჩემი..



ნუდარ იძახი, ღვთის გულისათვის,
ასე ხმამალლა მაგ შენს არაკებს,
მე გაგიგონებ უთქმელ სიტყვასაც,
მოდი, დუმილით მელაპარაკე.
ასეთ ხმაურში რით დავეხმარო,
ქარში წამოშლილ ჩემს მტკივან წამებს,
მკვდარი სიტყვების ხმასაც გავიგებ...
ოლონდ უსიტყვოდ, ოლონდ უსიტყვოდ,
ოლონდ დუმილით მელაპარაკე.



ხედავ, მოწყენილ სახეს ჩემსას?!
და უმოძრაო სხეულს - ფახცახით...
და ეს მუსიკა და ეს ორკესტრი
შორს, შორს მეძახის...
მივყვები სიმებს,
ვემორჩილები...
დღეებს ვიხსენებ, შორს გაფრენილებს,
მდუმარე ტყეებს და მწვანე ველებს,
...ბავშვობაში ვარ, ჩემს ბავშვობაში
და თან მომყვება იდუმალი ფოთოლთ შრიალი.



წინ გადაშლილი მიდევს რვეული,
ვიხედები და წარსულს ვიგონებ,
მერე ვცოცხლდები, იმედს თან მივსდევ...
...ფიქრები ისევ იშლება ჩემ წინ
მთავარი კითხვა პასუხს არ ტოვებს -
რაკი გზა მავთულს გადაეხლართა,
მითხარი, ღმერთო, საით წავიდე?



„იყავი მშვიდი, იყავი ლალი“,
და თუ ამაში ხელს შეგიშლიან,
მაინც განეწყვე იმაზე ფიქრით,
რომ სიცოცხლეა ყველაზე მშვიდი,
რომ მშვიდობაა მხოლოდ სიცოცხლე!



არ მიყვარს, ფოთლებს რომ აცლიან ყვავილებს,
გრძელ ვარდებს როდესაც ბოლოებს აჭრიან,
არ მიყვარს, სხვის ნაცვლად თუ მკითხეს
რაიმე,

ან როცა ჩემს სათქმელს პირიდან მაცლიან.



მე მოვიგონე თამაში ჩემთვის,
განვიტვირთე და აგეცელქე გუშინ ბავშვურად,
შენ მომიგროვე მაყურებლის ყველა ღიმილი,
თაიგულებიც შენგან იყო, ოღონდ - მალულად.
მე მოვიგონე თამაში ჩემთვის....



არ მინდა მე შენი ბნელი აზრები
(ეს ტვირთი ისედაც ზურგზე მოვიკიდე)
მაშველი რგოლი მინდა კეთილი ზრახვების,
ან წყალწალებული ზურგზე მომიკიდე.
არ მინდა მე შენი ფარჩა და მაქმანი,
უბრალოდ მოდი და ჯვალოთი მომიკითხე.



იყო მეჯლისი,
მხოლოდ უჩემოდ...
ემოციებით სავსე ფიქრები...
დაღლილ გონების შესანდობარი
და ... იცვლებოდნენ სახის ნიღბები.



რაც იყო, არ არი...
რას უნდა ველოდო,
რას უნდა ვითხოვდე?
ალბათ სიმშვიდეს.



ეთამაშება ქარი დალალებს,
არავინ იცის, და მეც არ ვიცი,
ხელში გვირილას რატომ ვაწვალებ?!
ნეტავ, მის ფოთლებს რას ვემართლები?
მეალერსება ზაფხულის ქარი,
მთვარეს ვუყურებ, ხმას ვეღარ ვიღებ,
ისევ ასეთი მემახსოვრები,
ჩემო გვირილავ, ასე ლამაზი.
მოჭედილია ცა ვარსკვლავებით,
იცოდეს მაინც რას ვფიქრობ მასზე -
შევასხა ფრთები- ღმერთო მასწავლე.
იფრინოს ცაში და გაიხაროს...
და მეც მახაროს ერთ დროს გვირილამ:
„შენც ივლი მალე, შენც ივლი მალე“

უსასრულო დერეფანი

როგორც იქნა, გათენდა... ფიქრი არ მასვენებს...
უსაშველოდ იწელება დრო... და მერე ისევ ის
უსასრულო, უსასრულო დერეფანი, რომლის
ბოლოში საოპერაციო მელოდება - ჩემი მორიგი
იმედის თავშესაფარი...
მერე ისევ ლოდინით დაწყვეტილი ნერვები, მტკიცა
გული, ვეღარ ვუძლებ ამდენ ლოდინს...
ჯერ დღეებს ვითვლი, მერე წუთებს და წამებს...
...კმარა, მორჩა, კმარა, ექიმო, კმარა!



რა საოცარია, მართლაც რა საოცარია,
ღმერთო, სიარული...
რა დიდებულია, ალბათ, განცდა მორჩენის...
წამოდგე და იგრძნო,
როგორ გითბება უმოძრაობით
გაყინული შენი კიდური..
მერე გაიარო და ასე -
იარო, იარო, იარო, იარო...
საოცარია სიარული,
ხალხნო, დამიჯერეთ... საოცარი.



მინდა სადმე, მდინარის პირას პატარა სახლი
მქონდეს...
ო, როგორ მინდა... თან კარგად ვიყო, სიარული
შემეძლოს...

მაგრამ ეს მხოლოდ ნატვრაა, მხოლოდ სიზმარია
(ჯერჯერობით აუხდენელი),
ოცნებაა - მქონდეს პატარა სახლი მდინარის პირას,
რომელიც ჩემთვის იქნებოდა ბინა სიმშვიდის,
სხვებისთვის კი - ბინა სიკეთის,
სადაც ყველა ავადმყოფს, ჩემთან მოსულს,
ამ სიმშვიდით დავეხმარებოდი.



მწამხარ, მიყვარხარ სიცოცხლევ...
და ვერ აგიხსნი, რატომ მიყვარხარ,
სიმართლეს გეტყვი - უამგამოშვებით,
არავინ მისმენს, არავის ვახსოვარ,
ასე მგონია, შენც დამივიწყე
და მაინც, ღმერთო,
ვარ პედნიერი...
დრო სწრაფად მირბის, ვერ დავეწევი
მე კი სათქმელი მრჩება რამდენი
...და მაინც ვდუმვარ!
ან იქნებ სულაც ასე სჯობს, ღმერთო?
იქნებ შენა ხარ ჩემი დუმილი?
ან იქნებ ჩემზე გიყვება მტრედი,
ჩემს ფანჯარასთან როცა ღულუნებს?



ჩემს ეზოშიც ამოვიდა ია და ენძელა -
თანამგზავრები სიკეთისა და სინათლის...
თეთრად დანისლდა შავი წამები,
და გამაბრუა მათმა სურნელმა,
მაშინ მე შევიზიზლე ბოროტება,
გავეცალე უდიერ სიტყვებს და ვიგრძენი,
რომ გავხდი გუშინდელზე კეთილი...
შემდეგ გავიფიქრე, რომ დამეკრიფა ისინი...
აი მაშინ კი შეერული ფეხების სიმძიმემ
ისევ ჩვეულებრივი გამხადა და
ჩემი განსხვავებული სიკეთის მარცვალიც
წამიერად სადღაც გამიქრა...



სიცოცხლე აღმართია,
სიკვდილი - დაღმართი...
მაღალია კიბე და
მიჭირს ასვლა,
ისევე - როგორც აღმართზე
და ამიტომაც არ ვიცი,
რა ხდება იქ,
საითკენაც გული მიმიწევს...
მაგრამ ვიცი, მაინც რომ ავალ
და ცის კამარას
ღმერთის სახელით მოვქარგავ.



შენ ჩემო ცაო, ჩემო მაღალო,
ჩემო რწმენავ და ჩემო იმედო,
ჩემთან დარჩი
და არ დამემალო,
რომ კვლავ საძებნი არ გამიხდე...
გუშინდელივით.



მარის დავარქმევდი მე ჩემს გოგონას...
მას ექნებოდა თვალები ცისფერი,
თმები -მზისფერი და
ლიმილი დედაჩემის -
თბილი და სხივმფენი.
მარის დავარქმევდი მე ჩემს გოგონას...
ცის ნამს ვაპკურებდი,
მთვარეზე გავაწვენდი,
ვარსკვლავებს დავუფენდი.
მარის დავარქმევდი მე ჩემს გოგონას...
კულულებს გავუშლიდი,
გვირილებს ჩავუწნავდი,
ოქროსფერ სხივებით
კაბებსაც მოვურთავდი.
ხშირად ჩავკოცნიდი,
გულში ჩავიკრავდი.
ლექსებს ვასწავლიდი
ზღაპრებს შევუთხზავდი...

P.S. ხშირად ვისეირნებდით ერთად - ხელიხელჩაკიდებულები და...
თუ ქუჩაში ვინმე გულს ატკენდა: „დედა ავადმყოფი გყავს?“ მარი
ჩემკენ გამოიქცეოდა, ჩამეხუტებოდა და უბეში ჩამიღვრიდა უტაქტო
კითხვის ცრემლიან განცდას...

მარის დავარქმევდი მე ჩემს გოგონას...
მას ექნებოდა თვალები ცისფერი
თმები -მზისფერი და
ლიმილი დედაჩემის -
თბილი და სხივმფენი.

ფიქრები ანკარა წყაროსთან

მივდივარ და გზებს უკანმოუხედავად ვტოვებ.
გზის პირას ანკარა წყარო ჩამოდის. შორიახლოს
ჩამოვჯექი. მსიამოვნებს წყაროს ჩუხჩუხი, მინდა
პეშვით სახეზე შევისხა, ფეხები ავატყაპუნო,
მოსრიალე, წახნაგოვანი ქვებით ტერფები
დამესეროს... მაგრამ ახლოს ვერ მივდივარ
და ასე, შორიდან ვტკბები, წყლის ხმაურს და
ჩიტების ჭიკჭიკს ვაყურადებ... გული მტკივა -
მე ხომ ვერასოდეს გავივლი, მაგრამ ვგრძნობ,
რომ სიცოცხლე მაინც ძალიან ლამაზია. ბუნების
სიდიადეს და მის კანონებს ვერავინ შეცვლის. ბევრი
რამ არ მესმის ბუნების წესებიდან, მაგრამ ერთი
რამ ნამდვილად ვიცი - თუ ადამიანი მის კანონებს
დაარღვევს, მისი რისხვა არ ასცდება. არავინ ვიცით,
რა მოხდება ხეალ და ნეტავ, რატომ ვართ ასეთი
შეუბრალებლები ერთმანეთის მიმართ? რატომ
არ გვეცოდებიან უმწეოები? რატომ გვეზარება
სალამი და თბილი სიტყვა? რატომ არ ვცხოვრობთ
სიკეთითა და სიყვარულით? რა მოხდება ხეალ?



სიმშვიდისა და სიცოცხლისათვის,
გადარჩენისთვის...
სიკეთის მელოდიას ვუსმენ
ბულბულის ხმებით...
და არეული სამყარო
(შიგნით თუ გარეთ)
ბუნებრივად ლაგდება.



დარდები შავად შეფერილან და
მოჩვენებითი სილალით იმოსებიან...
იქნებ თავი მომაწონონ.



ამქვეყნად მთავარი ძალა ოჯახია,
გაუფრთხილდით მას, როგორც სიწმინდეს და
აავსეთ ის ერთმანეთის სიყვარულით.



ამ ფერდობზე ერთხელ უკვე
დავეშვი და... მაშინ გადავრჩი.
თუკი ეს ხელმეორედ განმეორდა...
აბა, რა გითხრათ?!



შენი მარტო მაშინ ესმის,
როცა თვითონაა ცუდად.
მოგიკითხავს, როცა შენგან რაღაც უნდა...
გაჩუქებს, რომ მერე ბევრჯერ შეგახსენოს...
თვალებში გიყურებს
და მის იქეთ ვერაფერს ხედავს...
სამწუხაროდ, აქ მთავრდება ყველაფერი!



მხოლოდ ისეთი ბუნება ვიცი,
როგორსაც ჩემი ფანჯრიდან ვხედავ,
შენ კი წადი და მოიხილე სხვა დანარჩენი...
წადი, წადი... ნუ გერიდება.



ეს სიცოცხლე უსასრულობა ნუ გვინდია,
რომ აგვიანებ...
თუმცა, ჯერ კიდევ გაქვს დრო
მოფერებისთვის,
სიყვარულისთვის,
უანგარო სიკეთისა
და... სინაწლისთვის.
ნუ აყოვნებ...მოდი!



ღვთისმშობელო, გევედრები,
მიეცი ადამიანებს
სიკეთე და სიყვარული,
წართვი სხვისი გულისტკენის სიხარული,
გადააფარე შენი კალთა, ღვთისმშობელო,
ყველა ქართველს გადააფარე,
გააძლიერე ქართული გენი, ჯიში და მოდგმა
და აკვნიდანვე ჩაუნერგე
მადლიერება უზენაესის,
ვინც ჯერ სიცოცხლე გვიბოძა
და ჯანმრთელობა შემდეგ - საჩუქრად.



შენ რომ ჩემი ფიქრი, ჩემი დარღვი
და ნატვრა იცოდე,
მაშინ არ დამისვამდი ფორმალურ კითხვას
„როგორ ხარ?“



ჩვენი ფესვები მადლია,
სიყვარული ჩვენი ფუძე,
როცა ორივეს ვკარგავთ
მაშინ ვკარგავთ ყველაფერს...



არ იომო ჩემს სიტყვებთან,
მაინც არაფერი გამოგივა
და მერე შეიძლება გულიც დაგწყდეს,
რომ ეს უაზრო ომი გამომიცხადე.



ღია ზღვაში რომ ნელი რხევით მიცურავს,
ეს ჩემი ნავია...
უსასრულობაა გაშლილ სივრცეში,
რომლის იქეთ ჰორიზონტია,
უფრო იქეთ - ჩემი სახლი,
ჩემი ბავშვობა,
ჩემი მარად უბერებელი სამყარო.



ლამაზ ფერდობზე სიწმინდეები ვნახეო,
რომ მითხარი -
ნათელი ფერებით...
იცოდე, იქ ჩემი სული ნავარდობს
და აქაურობა სულაც არ ენატრება.



ცვალებადია ცხოვრება
აღმას თან ახლავს დაღმა -
ხან ფრენა მინდა ჩიტივით,
ცისკენ - მაღლა და მაღლა,
ხან სევდა დამსდევს ფეხდაფეხ,
(ბრაზით კედელზე მაკრავს),
ხასიათზე ვარ როცა,
ან როცა სულაც არ ვარ.



გარდა იმისა, რომ კეთილად დავრჩე
და სიკეთით ვიყო,
სხვა ვერაფერი ვერ მოვიფიქრე
ჩემთვის უანგაროდ გაღებული
ყველა სიკეთის სამადლობელად...
და კიდევ -
დამადლების, დაყვედრების გარდა,
ასე მგონია, ყველაფრის ატანას შევძლებ.



შემოდგომაა...ქარმა ფოთლები - ჩემი წლები
მოხვეტა და სადღაც წაილო..
ეს უკვე მერამდენე რვეულია,
დღეს რომ დავხურე
იმ პირველი ფოთოლცვენიდან.



ქარი წაილებს ქარის მოტანილსო..
მეც ავდექი და გულუბრყვილოდ ქარს გავატანე
ჩემი დარდი და ტკივილი,
რომელიც ისევ უკან დამიბრუნდა,
თან - ორმაგად...
როგორც ჩანს, არ იყო ქარის მოტანილი.



უღრუბლო ცის ყურებას რა სჯობს,
მაგრამ მე ისევ ღრუბლიანი მირჩევნია...
მაშინაც კი, როცა მასში ვერაფერს ვკითხულობ,
უმოძრაო ღრუბლები კი არ მიყვარს,
ზეცას რომ აეკვრებიან
გაყინული თოვლის ნარჩენებივით...



ცრემლისფერთვალა ეს ზამთარიც გავლიოთ ერთად,
ჭრელაჭრულებით შევეგებოთ მერე გაზაფხულს,
ოღონდაც ცოტაც მოითმინე, ჩემო სიცოცხლევ,
და მზის ნაცვლად ჩემს ოთახში
უვარსკვლავებო ღამის ბინდბუნდს ნუ გამიმეფებ.



იცი, რას გვანან ჩემი დღეები?
გასასწორებელ ლოგინს,
ვეღარ დავძლიე მარტოობა და
ბოლო არ უჩანს ლოდინს.
ყველაფრის შეცვლა როცა მომინდა,
კედელს შევასკდი შუბლით,
გამოვუცხადე ომი ჩემს ტანჯვას,
ავისხი ფარ-ხმალ-შუბი.



როცა ჩუმად ვარ,
შენი ფუსტუსი მიყვარს ძალიან,
და როცა მკითხავ, „მარი, რა იყო?“
ვხვდები, რატომაც მეკითხები -
სიჩუმე ხომ სიმშვიდეს ყოველთვის არ ნიშნავს?

გამგზავრება

უფრო დიდი აზრები გადახსნილი ჩემოდნის შუა
ნაწილში ჩავკეცე,
შედარებით პატარები - კუთხეებში განვალაგე,
წვრილები - შიდა და გარე ჯიბეებში ჩავტენე,
ზედა სართულიდან ქვედა სართულამდე
კიბეებზე უხმაუროდ ჩავირპინე
და ჩემი ბავშვობის გატკეპნილ გზას
უშფოთველად დავადექი.



ვებლაუჭები გაყინულ ძარღვებს
და განვლილი წლების შავ-თეთრი კადრები
მთელ სხეულს მიწიწვნიან
გამოსაცვლელი ფეხის ძვალივით...
დავიწყების განცდებში ზღვა ხალხი ირევა,
სავსეა პარტერი,
ო, რა ნიღბებია, ფერთა რა შრიალი?!
უხმოდ მივემართები სცენის კუთხისკენ,
აქ სიმყუდროვეა და ფიქრთა სინქრონში
თავდავიწყებდე,
წარსულის, ბავშვობის,
ნდობის და განწყობის,
იმედის, სიცოცხლის
უკრავს როიალი.



წვიმამ ჩამოკრა სევდის სიმებზე,
ბუხარში ცეცხლმა დაუკრა ტაში,
ერთად მოვიწყვეთ ოთახში სითბო,
გამოვიხურეთ ყველა სარკმელი,
ყელში ამოსულ იმ ძირძველ ფიქრებს
გადმოულაგეთ ამოსათქმელი...
...ვიღაცა სევდის კლავიშზე უკრავს,
ვიღაცა თავის არიას მღერის...
მე ვზიგარ მარტო, დუმილით, ჩემთვის,
რადგანაც სიზმრებს ვუთიე დამე
და კვნესა გულის
წვიმისას ერთვის.



შევლოკოკინდები ჩემს პატარა ნიუარაში
და ვერაფერს დამაკლებს
თქვენი ზიზღიანი გამოხედვა,
ვერც ის ქვა, მიწა და ტალახი,
რომელიც უნდა გესროლათ ჩემთვის!



ოთახის ბნელ კუთხეში,
მრგვალ მაგიდასთან,
მოვკალათდი სიმარტოვით,
სავსე ჭიქით და საკუთარი,
ცარიელი აზრების ხმაურს მივაყურადე.



საწყალს და უპატრონოს ნუ მეძახი,
ნურც შემიცოდებ,
თუ გული გტკივა, ნურც მაგას მეტყვი -
ჩემიც მეყოფა,
სულის ჭრილობას არ შეეხო,
ვერ შემიხორცებ,
ფუჭ იმედებსაც ნუ დამიფრქვევ
ტკბილხმოვანებით...



სადაც ტყუილია, სიბილნე, ფლიდობა,
ვაჭრობა მამულით - გაღმა თუ გამოლმა,
უსაგნო ყბედობა, საქმის არიდება,
ურდულთა ხმაური, უზნეო გარიგება,
ეკრანის ბრიალი უღმერთო აზრებით...
თუ არც სინდისია და არც მორიდება -
მე იქ არ მინდა და აღარც მომინდება.



ტყე მიაქვთ სახლში და
ნაძვის ხედ დგამენ
წიწვები ირთვება ნატიფი ბაფთებით...
სადაც სიჭარბეა ზიზილ-პიპილების,
სანთლის შუქების, ხავერდის ფარდების,
უცნობი ნილბების ნაცნობი ამბების...
ერთ წამში საათი ჩამოკრავს ხვალინდელს,
ფიქრი შალს მახურავს და თბილად მამშვიდებს.



შავ-თეთრი კინოფირივით
დავატრიალე ჩემი წარსული,
ჯვარს ვაცვი ყველა სავსე რვეული,
მონად გავყიდე გუშინდელი ფიქრები
რომ მერე, მათგან თავისუფალს,
ახალი დროით გაშლილ სუფრასთან
მესადილა.



დედა ასაკშია,
მამა - ალარ არი,
გულს მტკენენ, მტანჯავენ უშაქრო დღეები,
შველა - არსაიდან,
დრო გარბის ჭენებით,
ლმერთო, გადმომხედე, ამინდის არევამდე,
ქოლგა მომაწოდე,
სანამ დავსველდები.



მერე რაა, რომ ამდენი ხანი
ლოდინი მომიწია,
მე მაინც მიტაცებს
და არ მეშვება
ჩემი ძველი და ახალი მელოდია
მელანქოლიას რომ ეძახიან.



ამ ღამეს თითქოს ჩემზე მეტი
საქმე არა აქვს -
მაჯას მისინჯავს,
როგორც დედა
და ცივ საფენებს შუბლზე მადებს,
როცა ავად ვარ.



„ვის რალად უნდა ჩემი ნაწერი?“-
ფიქრმა ფიქრს ჰკითხა,
არც არავისო - მოჭრა მეორებ
და ამის შემდეგ
პირველის ფიქრი
მაინც ჯიუტად,
მწყობრი ანბანით,
ამ თეთრზე შავად
გადმოალაგა.



გარეთ მარტია და ცივი ამინდია
ქარსაც დაულენავს შუქის მავთულები,
ვითომც არაფერი - გუგულის ბუდეში ვართ
და ცხოვრების თამაშით ვართ გართულები.



ერთ დღეს სხვა მოსდევს
იმ სხვას - კიდევ სხვა,
მაინც ვერ ვდგები,
ნუ მკითხავთ - რატომ?
გთხოვთ, ყველას, ყველას,
ვისაც გიყვარვართ -
ცრემლებს ნუ მომწმენდთ, როცა ვტირივარ
გარეთ გადით და დამტოვეთ მარტო.



როგორ არ მიყვარს საჩუქრები,
ხომ გითხარი - ძალიან მიყვარს,
მაგრამ იცოდე, ნაჩუქარზე უფრო მეტად
გაჩუქებულით ვარ ბედნიერი.



როცა ბედთან შერკინებით დავიღალე
და ყოფასაც თითქოს დავყაბულდი,
ბეწვის ხიდზე სწორედ მაშინ გავიარე და
ტკივილებს
გამარჯვების ისრები ვესროლე.



შრომას და ჯაფას, როგორც შენს ჯვარს
რომ არ აფასებ,
პირზე ხელს ვიტარებ,
რომ ჩემ ჯვარზე არაფერი წამომცდეს
და გული არ გატკინო.



იქნებ მართლა დუმილი სჯობს
და უთქმელობა, იქნებ, ნებაა ღმერთის,
იქნებ უსიტყვოდ მიხვდე, რაც უნდა მეთქვა -
ჩემი გულისთქმა, როცა შენს ფიქრებს ერთვის.

სიტყვებისა და ცრემლების ამბავი

სიტყვებმა აზრები მოიტაცა და თავისი გზით წავიდა.

ცრემლებიც გაიქცა სიტყვებთან ერთად.

იარა, იარა ცრემლმა და ზღვად იქცა, სიტყვები კი
ცრემლების

ზღვაში მოცურავე გემებად.

ცრემლების ზღვა როცა ღელავს, სიტყვები ერთმანეთს
ეხეთქებიან,

როცა ზღვა მშვიდია, სიტყვები ისეთი ნარნარით
დაცურავენ

მის ტალღებზე, გეგონება, ერთმანეთს ეფერებიანო.

და ასე ცხოვრობენ წლების მანძილზე,

ერთმანეთის გვერდით - ჭირსა და ლხინში.



მოწყენილ დღეებს ფერი აქვთ ფითრის,
ჩემს თავს, მომძინარს, სარკიდან ვხედავ,
საათი წამებს თითებზე მითვლის,
გამოფხიზლებას მაინც ვერ ვბედავ.

სარკმლიდან პარვით შემოდის შუქი,
ჩითის ფარდისფრად ეცემა საწოლს,
ქოთნის ყვავილიც - ცივი და უტყვი,
ფანჯრისიქეთა გაზაფხულს ნატრობს.



გაუვა ფერი მოწყენილ ფიქრებს,
აჭიკჭიკდება მერცხალიც გულში,
სულს გამოვუწერ სიმშვიდის წვეთებს
და თესლს ჩავაგდებ ორთქლიან ხნულში.



დილა ამთქნარებს,
სიცხე იზმორება,
ოთახი მაგონებს მატარებლის
დასიცხულ ვაგონს -
ჩარჩოში ჩასმულ კიდევ ერთ სურათს
ჩემი მოსიარულე ყმაწვილქალობიდან.



ამ ცივ ამინდში ვიცი,
ჩვენთვის ახალი არაფერია
და ამიტომაც ჩეულებრივ ჩაგეკითხები -
რაი იყო, რა მოხდა, რატომ მოიწყინე?



შენს სიყვარულს ვეფერები,
ხომ არ არის გვიანი?
წვიმა, ქარი რას დამაკლებს
დღეები მაქვს მზიანი...

შორს ხარ,
მაგრამ ჩემთვის აქ ხარ,
არ არსებობს მანძილი,
დამიძახებ?
მოვფრინდები,
აბა, ამ გზას
ხოხვით ხომ არ გავივლი.

იმ პირველი გრძნობებით
და მეორადი ფიქრებით
შენ ოღონდაც დამიძახე,
წამში შენთან ვიქნები!

...შენს სიყვარულს ვეფერები,
ხომ არ არის გვიანი?
წვიმა, ქარი რას დამაკლებს
დღეები მაქვს მზიანი...



რა ძნელი ამოსაცნობი ხარ,
ჩემო უცნობო ადამიანო,
რა ძნელი ამოსაცნობი...
ამიტომაც არ გენდობი, ვერ გიგები...
მომაძებნინე შენში სიმართლე,
უბრალოება,
სიკეთე უანგარო
და თუნდაც ერთი
პეშვი უმანკოების...

ჩიტი ბელურა

ხის სველ ტოტზე, ორ ფოთოლს შუა შეყუულა,
სიცივისაგან მობუზულა, კანკალებს და
თან თვალებს იქეთ-აქეთ აცეცებს,
იქნებ სადმე ღია ფანჯარა ნახოს, ან ღია კარი,
ან რამე საკენკი...
ვიცი, რომ გცივა და გშია ბელურავ „მაგრამ შენ არ იცი,
რომ ამ ფანჯრის მიღმა, ახლა შენი ტოტი რომ
ელამუნება,
მე ვწევარ შენსავით უმწეო და არაფერი შემიძლია
თვალცრემლიანი თანაგრძნობის გარდა.
ან იქნებ იცი და სწორედ ამიტომაც ხარ აქ -
ჩემი გულწრფელი თანაგრძნობისთვის?



როდის გაივლის ეს ღამე,
გრძელი და ბნელი,
ჩემი დარდის და სევდის ყველაზე
დიდი მოკავშირე, მეგობარი
და
მრავლის მთქმელი?



სევდამ ნისლიანმა
ციდან ჩამოსულმა,
სათქმელი ვერ მითხრა
და ისე გაიძურნა,
ახლოსაც არ მოსულა.



ზამთრის ლამეა, არ მეძინება,
მთვარის შუქ-ჩრდილში, ღრუბლებს შორის
დავეძებ ნაცნობს...
რომ გათენდება, ჩაგრთავ მუსიკებს
და იმ სიმღერას, ჩვენ რომ გვიყვარდა,
მოვისმენ მარტო.

ასე მგონია,
ღრუბლიან ზეცას რომ შეველევი,
მაშინ დამთავრდება სატკივარიც.



„რა ვჭამოთ, რა ვსვათ?“-
კითხვები დამღლელი,
მომბეზრდა ერთ ფერში
კითხვაც და პასუხიც -
„რაც არის, ის იყოს!“
იყოს და იქნება,
ყოველთვის იქნება -
პურიც და მარილიც,
ვინც მოგვცა,
ვინც გვაძლევს,
მასზე რომ ვიფიქროთ.



გაიგე, ჩემო მეგზურო,
რომ მეც შენსავით ადამის მოდგმის ვარ
და როგორც ყველა, ცოდვით ვარ ნაშობი...
ამიტომაც ნუ ეძებ ჩემში
შენზე უკეთესს...
ერთს კი გთხოვ, გულით -
იქეთ და აქეთ სასროლ ნივთში
არასოდეს არ გამრიო და
არ აგერიო!



მუზა ჩიტია - მოფრინდება და გაგიფრინდება,
ამიტომ ვუსაფრდები მონადირის ჟინით
და მოფრენისთანავე ვიჭერ,
რვეულში ვამწყვდევ - ვიწერ და ვიწერ,
ერთად ვალაგებ, კონებად ვკრავ და
ხმელი პურივით, ვიმარაგებ,
რომ ცარიელი დღეებში
არ დავრჩე
უსაგზლოდ და უიარალოდ.



მომეჩვენა, რომ ჩემს სახლს ვტოვებდი
თავშესაფარი არსად არ მქონდა,
ვიღაც მპარავდა ნაცნობ ველ-მინდვრებს
და ჩემი კვნესა კლდეებს გაჰქონდა.
ვიწრო ბილიკით ვეძებდი შარას,
საკუთარ ცისქვეშ ვიყავ ხიზანი,
ტყვიის და ცეცხლის წვიმა მათოვდა
ოლონდ სად, ველარ ამოვიცანი...

დილით მზის სხივმა თვალი ჩამიკრა,
ცრემლი შემიშრო - თბილი ლიმილით,
სიზმარი წლების მერე ამიხდა,
სახლს რომ ვტოვებდი ჩუმი ტირილით.



ქარი მალლა წევს ღრუბლების ფარდას.
ცა ეპრანჭება ვარდისფერ აპრილს,
თავიდან ვიწყებ სიცოცხლის ათვლას,
ნუ გამახსენებთ გუშინ გადათვლილს.
ალორძინების თენდება უამი,
მე ეს თვე ვიცი, თხოვნებს ასრულებს,
ქვეყნად მშვიდობა, მომეც, აპრილო
და ყველა ცუდში გადამარწმუნე.



იმ ტოტს მიღმა რომ რაღაც მემალება,
ეს ჩემი ბავშვობის ათინათია,
ათასჯერ მონატრებული და
უსიტყვო ცრემლებით სავსე
ჩემი გულის ცნობარი.



აზრები ჩამოვტვირთე,
სიტყვების კორიანტელიც დავაყენე,
მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია,
ვერავინ გამიგო,
ეტყობა, სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ
და ამიტომაც არ გვესმის ერთმანეთის.



ჩემი სიმარტოვის მიღმა შიში რომ იმალება,
იმაზე გეუბნები...

დილით რომ ვიღვიძებ და ნისლით რომ იფარება,
რომ ვერ ამოვიცნო სახე და სახელი...
შენ როცა მოდიხარ, სადღაც იკარგება,
რადგანაც ბნელია, სულ ერთობ ბნელია,
შიში აქვს თეთრის და არ უყვარს ნათელი.

ჩემი სიმარტოვის მიღმა შიში რომ იმალება,
იმაზე გეუბნები...



ის ჩემი ნატვრა, რომ არ ახდა, ან გვიანდება,
თითქოს სამია, მაგრამ ერთში რომ ერთიანდება,
სულ რომ მწადია, მაგრამ დღემდე რომ არ მეღირსა...
ამიტომ ვამბობ - არაფერი მშურს გარდა ერთისა,
შენგან მოკლებულ სითბო-სიყვარულ-ერთგულებისა.



დედას

როცა სიმშვიდეს ვეძებ,
აბობოქრებულ ტალღასავით
გეხეთქები დაჭრილ გულზე
და ჩვილი ბავშვივით
გეტიტინები.



დედას

კვლავ თვალწინ მიდგას საავადმყოფოს თეთრი კარები
და თეთრ საწოლთან უსაზღვრო სევდა,

შენი თვალები - ავსებული ცრემლით, ვედრებით,

შენ - ჩემს ფიქრებშიც ჩაძირულო, უთქმელო დედავ.

საბედისწერო მაგიდაზე ავყავართ ისევ.

ისევ და ისევ...

და ყოველ ჯერზე

შენი ცრემლების მელოდიას თავიდან ვისმენ,

ისევ და ისევ... მიმაცილებს თვალებით სევდა,

ისევ და ისევ...

და არაერთგზის...

ძვირფასო ჩემო,

უსიტყვოვ ჩემო,

დალლილო ჩემო,

ტანჯულო დედავ!

ისევ და ისევ...

პალატაში ჩვენ ვრჩებით ორნი,

ტირილის ფარდას აფრიალებს ტკივილით ქარი,

მაგრამ თუ შენი სუნთქვაა ჩემთან

ისევ და ისევ...

იცოდე, დედავ,

ჩემზე ძლიერი და ბედნიერი არავინ არის.



დედას

ოთახში მარტო ვარ - კარჩაკეტილი...
ეტლში ვზივარ და
ჩემთვის რაღაცას ვბუტბუტებ...
თითქოს არავინ მისმენს...
ასე მგონია, მარტო მე მესმის
ჩემი ბუტბუტი..
კარებს იქედან დედა მეპასუხება,
დედა, რომელმაც გულის კარები
სამუდამოდ ლიად დატოვა ჩემთვის.



დედას

ქარი ზუზუნს შეამცირებს,
ფერს შეიცვლის ამინდი,
მზე წამოვა აღმა სავლით...
თუკი ერთხელ,
თუკი ერთხელ,
თუნდაც ერთხელ გაგახარე -
ანუ...
ფეხი ავიდგი.

სიყვარულის გარემოცვაში

ბავშვობაში, როცა უკითხავთ, რით განსხვავდება
კარგი ცუდისგანო,
დიდხანას მიფიქრია და მერე ასე მიპასუხნია:
„დედა - ყველაზე კარგი, მამა - ყველაზე კარგი,
ძმები - კარგი და კარგი.
ცუდზე არაფერი მითქვამს, ან როგორ
მეცოდინებოდა,
რა არის ცუდი სიყვარულისა და სიკეთის
გარემოცვაში?!



დედას

დღემ იკლო, ღამემ იმატა,
ბნელში მოიკლო ნათელმა,
ტკივილებს ვერ მოვერიე,
გუშინდელს აქეთ გამთელა,
ბალიში ცრემლით დავალტე,
გულმა ზარებიც დარეკა...
მშვიდი კუნჭულის ძებნაში
დედას თბილ მკერდზე ავეკარ.



დედას

ფიქრი ფიქრებს ქსოვს
და შავ ნაქსოვში თეთრი
ოცნების არშიას აქსოვს -
მე გარეთ ვიყო, ვიღლებოდე და
დაბრუნებულზე დამხვდეს დედა
შეღებულ კართან და
ჩვეულად მკითხოს -
„როგორ ხარ, შვილო?“
და არა ისე,
პირიქით როა,
რაც თავი მახსოვს.



დედას

ერთმანეთისთვის ნაჩუქარი
ჩვენი სიცოცხლე,
გვენანება, რომ ისევ
ვაჩუქოთ ერთმანეთს,
მხოლოდ დედას არ ენანება...
ღმერთო, დიდხანს მიცოცხლე!



ძმას

შენ ახლა გძინავს...
იქ, სახლთან ახლოს,
ციტრუსის ბაღში თვლემენ ჩიტები...
ხმამაღალ ფიქრებს დუმილით ვავსებ,
და სავსე მთვარეს
მარტო ჩვენ ორნი,
მარტო ჩვენ ორნი -
ასე დუმილით ვესაუბრებით...
მე მენატრება შენი ხმა და შენი თვალები,
სუნი სახლის და მანდარინების...
ჩვენი უსაზღვრო, ლურჯი ხედები,
ჩვენი ღელე და
ჩვენი ანცობა,
ჩვენი მშვიდობის თეთრი მტრედები...
შენც მათთან ერთად გაფრინდი, ძმაო,
სად ხარ, მითხარი, მითხარი, სად ხარ
რომ სავსე მთვარით მოვიდე შენთან
და მოგიტანო გაუხუნარი,
გაუხუნარი ჩვენი ბავშვობის,
ჩვენი ბავშვობის
მკვეთრი ფერები...
შენ ახლა გძინავს...
იქ, სახლთან ახლოს,
ციტრუსის ბაღში თვლემენ ჩიტები...



ძმას

ცის სარკეში დაგლანდე
და გავიხარე,
ცის სარკიდან მომესალმე
სევდიანი თვალებით...
ის ლიმილი და ის შუქი
შენგან გამონათენი
გულის გულში გამოვკეტე
ჩარაზული კარებით.
მაგრამ მაინც გამექეცი -
იმ ცისა თუ სარკის მიღმა
აფრინდი და წამიერად, წამიერად
გახვედი...
ცის სარკეში დაგლანდე
და გავიხარე,
ცის სარკიდან მომესალმე
სევდიანი თვალებით...



ძმას

დრო შენი საფლავის ქვაში გაიყინა
მერე მამაც მიგყვა - ნაბიჯ-ნაბიჯ...
ჩვენ კი - მე და დედა
დავრჩით უობლად და
უთქვენო სიცოცხლის სივრცეს წავეპოტინეთ.



ძმას

შენ არ მომკვდარხარ - გარდაიცვალე,
ერთი იყავ და სხვად შეიცვალე,
ჩვენი ბავშვობა გეწვინა გულზე,
კერიის ცეცხლი აგქონდა ზეცად,
სიზმარში გნახე - ღრუბლებზე იწექ



ძმას

ყველა სათქმელს შენთან
დღემდე სხვანაირად ვამბობ:
სხვა გულით,
სხვა ცრემლით,
სხვა სიყვარულით,
სხვა სიხარულით...
ვიცი, რომ მისმენ,
თუმც მემალები,
ლრუბლებშუა ჯდომა აღარ მოგწყინდა,
დახუჭობანას მეთამაშები?!
გამოჩნდი, ძმაო,
მითხარი „სტუკ - სტუკ“,
ოლონდ გამოჩნდი,
არ გებრალები?!

ლადო ექიმი

ვკითხულობ... ყველას ვეკითხები - ვის შეუძლია
ჩემი დახმარება?

გამოჩნდნენ ადამიანები... ერთ-ერთი - ლადო
ექიმია, რომელსაც თვალებით სულ დავეძებ.
ჩემი ლადო ექიმი - ჩემი იმედის მთესველი,
მუდამ მომლიმარი და სიყვარულით სავსე,
ხალხში ლექსივით რომ დადის...
ტირიფის ხეს გავყურებ
და ვლოცულობ:
„ღმერთო, ამრავლე, ძენი სინათლისა



„ენდე მხოლოდ კეთილ ექიმს,
ვინც შენს სიცოცხლეს იხნის,
ვისაც მუდამ ესმის შენი,
ვისაც ღმერთი გზავნის შენთვის“.

მაღლა ციდან ჩემკენ დაეშვა
ფრთაგაშლილი მერცხალი
და ეს წერილი მომიტანა...
წერილს დიდი ასოებით ეწერა
„სიცოცხლე!“

ამიტომაც მიყვარს მთელი სამყარო,
რომელსაც სიცოცხლე ჰქვია.
მიყვარს იმ ლალი და ლურჯი ცის
თავანი და მოწკრიალე ვარსკვლავები,
სადაც ეს წერილი დაიწერა ჩემთვის.



ტკივილს რად უნდა ახსნა ...
თვალები გათქვამენ ტკივილს,
არც სევდას უნდა ახსნა,
ისევე, როგორც ჩემს უხმო კითხვას -
„კიდევ რამდენ ხანს ვიცოცხლებ, ექიმო?“



გაცრეცილი და დაფლეთილი,
ნატანჯი და ნაჯაფი,
ნაომარი და ნატყვიარი
ჩემი ფიქრი ჩემს შორეულ
ორეულთან შეჩერდა,
გაირინდა, გაყუჩდა და
ჩუმად დაუწყო თვალიერება
ბავშური უდარდელობით
გახარებულ და გალაღებულ სახეს ჩემსას.



ერთფეროვნებასთან
მომბეზრდა ჭიდილი,
განწყობას სირბილით გამოვეკიდე და
ბოლმა ჯინივით ამოვუშვი...



გამოდი გარეთ, ადამიანო
და გაიხედე იმ სამყაროსკენ,
სადაც ღმერთის კარებია.
ადამიანო, ნუ ხარ საკუთარ თავში ჩაკეტილი
და მარტო შენი პირადით გარემოცული.



მომენატრა ძველი დროის სიმარტივე,
როცა ჩემი სახლის ღელეში
პატარა ქვებს ვყრიდი
ჩაფიქრებული სურვილის
ასასრულებლად.



მივდივარ შენგან, არ ვიცი,
რა ვთქვა,
შენს სახეს ვუმზერ, როგორც განაჩენს,
მე წავალ, შენ კი ჯვარი გენეროს...
სხვა მოვა - ალბათ, ჩემზე კეთილი
და ის სხვა გეტყვის,
გეტყვის დანარჩენს.



თოვლი მოსულა...

თეთრი ფარდაგი გადაეფარა მღვრიე გარემოს,
გაასპეტაკა ყველა ფერი და
ყველა ქალი - ოცნების მსხვერპლი,
გაასხივოსნა, გააპატარძლა.



შეკრთა ღრუბელი,
სუნთქვა ეკვრება ზენას გარშემო...
კედლებს ეხეთქება ჩუმი კივილი,
ტკივილი ტვირთის სანამ არსებობს.
კონად შევკარი ყველა სათქმელი,
ვით სულის განძი, გადაგინახე,
ვიცი მოხვალ და ტვირთსაც ჩამომხსნი,
რაკი შემიცნე და დამინახე.



ჩემო ტკბილო ოდაბადევ,
ჩემი ფიქრო, უსასრულო,
ჩემო წმინდა სალოცავო,
მტკიცნეულო და ნატრულო,
რით გიშველო, რით გინამლო,
მითხარ, როგორ განუგემო,
ფრთამოჭრილი ნიბლია ვარ,
უკერიოდ და უშენოდ.



გულში გაზაფხულს ვიხატავ
და როცა ვატყობ, რომ ფერთა გამაში
ჭარბობს ზღვისფერი,
...ვკარგავ სიმშვიდეს
და ოცნებებში
ფიქრამღვრეული მივექანები.



ვებლაუჭები ამ ცხოვრებას
სიბოროტის, ანგარების, უთანასწორობის ჯინაზე
და სიკეთის, მარადისობის, ერთგულებისა
და თანაფარდობის კანონებს ვემორჩილები.



შარშან, შარშანწინ და იმის წინაც
ასე მეგონა, რომ გავივლიდი
ლამაზ ფერდობზე... მარტო
და მერე ზარების რეკვით
საქვეყნოდ გამოვაცხადებდი,
რომ დამთბარა დღე და
ლამეც დამტკბარა
მშვიდი ძილისგან.



ოთარ ღუდუშაურს

ჩემო კეთილო ექიმო,
სულ მუდამ ღიმილიანო,
ჩემი ცხოვრების მეგზურო,
ხალისო, ტკივილიანო.
ჩემო უსაზღვრო იმედო,
ფიქრების თანაზიარო,
მეგობარო და მოყვარევ,
ენატკბილო და მზიანო,
მამავ და დედავ,
გულთბილო,
ხან მხნეო, ხან დარდიანო,
ღვთისგან შობილო მკურნალო,
სიკეთევ, შეუდრეკელო,
უბრალო გულთა მესიტყვევ,
ლეგენდავ, შეურყეველო!



ვიძირები ჩემს სივრცეში
და ოცნებებს ვხატავ,
მოგონებებს ვეფერები
მონატრებებს ვქარგავ...
ხელს ვუქნევ და მივაცილებ
შორს მიმავალ აზრებს,
გამიშეშდა სახის ნაკვთი,
გული ბზარებს მაჩინს.
...შენს სივრცეში ვჩნდები უცებ
სხვა ძალით და სხვა ხმით,
ფიქრით აღმართს მივუყვები
შენგან გვერდის ავლით.



საოცრება ის კი არ არის
ხელი ჩამკიდო და გარეთ გამიყვანო.
საოცრება იქნება,
არ შემელიო ასე მარტივად
და დამარცვლით მითხრა
ის ერთი სიტყვა,
რომელსაც მთელი ცხოვრება ველი
და რომელიც ჩემთვის ვერავინ გაიმეტა.



დაყვედრების შიში დამყვება
და მაწვალებს დროის ათვლისას -
ანუ ისეთი,
ჩემს ჯვარცმულ წყლულებს
და ტანკულ სულს რომ
ვერ შეედრება.



ქარმა სადღაც გამიტაცა,
წყალმაც სწრაფად წამილო,
მთებს თავი ვერ შევაფარე,
მოძმემ გული გამიპო...
უკან უკან ვიხედები,
გზას მივიკვლევ ფონებით,
მორლვეული ფუძითა და
აწეწილი გონებით.



ჭრელო პეპელავ,
მოფრინდი ნელა
სასიხარულო მითხარ, ამბები,
თუკი სათქმელი არაფერი გაქვს,
ჩამოჯექ ახლოს,
იყუჩე წამით,
შენი სიმშვიდით,
შენი ფერებით,
შენი მშვენებით
მაინც დავტკბები.



ნისლი ჩამოწვა ნელი სვლით,
სულშიც შემოაღწია და
დაბინდული სამყაროს
ბურუსმა თვალი ამიხილა
ცის დაკარგული სილაჟვარდის დასაფასებლად.



ნატვრის ხესთან ჩამოვჯექი,
ნატვრა ცამდე ამქონდა -
გვირილები რთავდნენ გვირგვინს
და თეთრ კაბას -საპატარძლოს,
ნატვრის რტო და
ატმის კვირტი
უსაშველოდ ამკობდა.



ხავსმა დაფარა ყველა შარა,
ყველა ბილიკი,
ყველა ნატვრა და
ყველა ოცნება
ჩემი სახლის
ხავსმა დაფარა.
მე იქაური ჭრილობა
მკლავს მოურჩენელი,
ხავსმოდებული სახლის კიბე
ბედის ამარა,
ხავსმა დაფარა ყველა შარა
ყველა ბილიკი
უკან სავალი გზები არ ჩანს...
ხავსმა დაფარა...
და ის სურნელი
ჩემი ბალის, მანდარინების,
ცის სილურჯე თუ
ზღვის სიკამკამე
ხავსმა დაფარა.

ჩანაცერები



ფიქციანის მონაზი

გავუყო სხვებს ის მცირედიც, რაც ღმერთმა მომცა, რადგან ვიცი, რომ შიშველი ხელებით დაბადებულს ღმერთი ასეთივე შიშველი ხელებით წამიყვანს...

და კიდევ.... მჯერა, რომ სიმდიდრე ადამიანურობის გარეშე სილ-არიბეზე ბევრად უფრო დიდი ჯვარია.

ერთი დღე, როგორც სხვა დანარჩენი

როცა მეკითხებოდნენ, თუ როგორია ჩემი ცხოვრების ერთი დღე, ძალზე ხშირად კითხვა უპასუხოდ დამიტოვებია ან ზედაპირული, შაბლონური პასუხი გამიცია, რადგანაც, სიმართლე გითხრათ, არ მიყვარს, ასე ვთქვათ, „ძალიან პირადულში“ ვინმეს შემოშვება, მაგრამ, რატომლაც, მაინც გადავწყვიტე, დამენერა.

ჩემს დღეებს, ბუნებრივია, აკლია მრავალფეროვნება, ანუ ერთი დღე თითქმის ისეთივეა, როგორც ყველა სხვა დანარჩენი და - პირიქით.

...დილის 6-ზე უკვე მღვიძავს. ზოგჯერ უფრო აფრეც. გაღვიძება დამოკიდებულია იმაზე, როგორ მეძინა. თუ ლამე მშვიდი და უშფოთველი მქონდა, დილაც მშვიდი მაქვს. ძალიან მიყვარს დილა და ვცდილობ მას ყოველთვის კარგი განწყობით შევხვდე, თუმცა, ხშირად არ გამომდის, განსაკუთრებით გრძელი, უძილო და ტკივილებისგან გადაღლილი ლამეების შემდეგ, რაც არც ისე იშვიათია ჩემს ცხოვრებაში...

დილას „მამაო ჩვენოთი“ ვინწყებ.

ლოცვას ბავშვობიდან ვარ მიჩვეული და ვერ წარმომიდგენია გაღვიძება და დაძინება მის გარეშე, ისევე, როგორც პირადი ტუალეტი და თავის მოწესრიგება, რომელიც არასდროს არ არის დამოკიდებული განწყობაზე.

სიგიურემდე მიყვარს სისუფთავე და რაც არ უნდა მოხდეს, ყველაფერი წესრიგში უნდა მქონდეს - ფეხის ფრჩხილიდან - თმის წვერამდე. ზურგის გაუსაძლისი ტკივილის მიუხედავად, ყველაფერს დამოუკიდებლად, ჩემით ვაკეთებ - მარცხენა ხელით, რადგანაც მარჯვენა დიდი ხანია, არ მემორჩილება. როგორ ვახერხებ? დიდი წვალების, ხანგრძლივი ვარჯიშებითა და წლების განმავლობაში გამომუშავებული წესრიგითა და ჩვევებით, რომელიც ისე მაქვს გამჯდარი, რომ სხვანაირად ვერც წარმომიდგენია. დილის ტუალეტისთვის საჭირო ყველა ნივთი თუ საგანი იქვე, საწოლთან მიღავია იმ თანმიმდევრობით, როგორითაც მჭირდება. მართალია, ძენრის გამოცვლას ზოგჯერ ორ ან სამ საათსაც ვუნდები, მაგრამ, სამაგიეროდ, უდიდეს

სიამოვნებას მანიჭებს შედეგი - არა მარტო სუფთა გარემო და თეთრეული, არამედ განცდა იმისა, რომ ეს მე დღესაც შევძელი...

პირადი ჰიგიენის და საწოლის მოწესრიგების შემდეგ ვიწყებ ოთახის დალაგებას... მაქვს გრძელი, ბოლოში ლურსმანმიჭედებული ჯოხი, რომლითაც შემიძლია გავალო და დავკეტო კარი, ყველა ნივთს მივუჩინო თავისი ადგილი, მაგალითად - დაკეცილები, ასევე დაკეცილად შემოვალაგო თაროებზე, გადავაადგილო კედელზე დაკიდებული სურათები, ჩამოვკიდო საკიდიდან ჩამოვარდნილი ფარდა და, გაჭირვების შემთხვევაში, მივაჭედო მოფამფალებული ლურსმანიც. ერთი სიტყვით, ჩემი ჯოხი ჩემი მარჯვენა ხელია, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. შემდეგ ჩემი ოთახის ძირძველ „მობინადრეებს“, ჩემს თოჯინებსაც უნდა მივხედო - რომელიმე ხომ არ ჩამოვარდა, ან რომელიმემ ხომ არ მოიწყინა? ზოგჯერ მათ ადგილმდებარეობას ვუცვლი, სხვანაირად ვაწყვილებ... ძალიან მიყვარს ჩემი თოჯინები, რომელთა უმეტესობა ნაჩუქარია და ყოველთვის იმ ადამიანებს მაგონებს, რომლებმაც ისინი მაჩუქა.

მართალია, თუ ოთახს არ არევ, დასალაგებელი არც გექნება, მაგრამ საქმე ხომ ერთგვარი ვარჯიშია, მით უფრო ჩემთვის და ამიტომ ყველა ნივთს, რომელსაც დღის განმავლობაში ვხმარობ, თავის ადგილას არ ვდებ - ყველაფერს ადგილს გამიზნულად ვუცვლი, რომ დილით, ოთახის ამგვარი დალაგებით მაინც წავივარჯიშო... ისე კი გამიზნული ვარჯიშების დიდი მიმდევარი არ ვარ, და რაკი ეს პროცედურა ჩემთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, მირჩევნია ასე ვივარჯიშო - საქმით.

საუზმე, სადილი და, ზოგადად, საკვების მიღება ჩემთვის ასევე განსაკუთრებული პროცედურაა, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ჩემი კვება, კბილებისა და კუჭ-ნაწლავის პრობლემების გამო, ძირითადად, ერთფეროვნულია, ამიტომ ვცდილობ ეს პროცესი ლამაზი თევზებით, ჭიქებით და ხელსახოცებით მაინც გავამრავალ-ფეროვნო. მაგალითად, ჩაის დალევა მიყვარს გამჭვირვალე ფინჯინი-დან, მაქვს საწოლზე დასადგამი რამდენიმე მაგიდა, რომლებსაც გან-

წყობის მიხედვით ვცვლი. ამის გარდა, დღის განმავლობაში ხან ვწერ, ხან ვკითხულობ, ვარღვევ ძველ ნაქსოვებს და თავიდან ვქსოვ... გააჩნია განწყობას. ძალიან მიყვარს სიმღერა. ვმღერი კიდეც, თუმცა, ძმის სიკვდილის შემდევ ეს უკვე იშვიათად ხდება. ფსიქოლოგია მითაცებს და ფსიქოლოგიური ლიტერატურის კითხვა. ტელევიზორთან, თუ რამე განსაკუთრებული არ ხდება, მაინცდამაინც არ ვმეგობრობ, მივეჩვიე ინტერნეტს და სოციალური ქსელებით ვეკონტაქტები ნაცნობებს.

ადრე, როდესაც დედას სიარული შეეძლო და სახლიდან თითქმის ყოველდღე გადიოდა, დღის საქმეებს და საზრუნავს ლოდინიც ემატებოდა - უფალს საშოვარზე გასული მოხუცი დედის შინ მშვიდობით დაბრუნებას ვევედრებოდი. მოსალამდებოდა თუ არა, თვალს არ ვაშორებდი კარებს, საიდანაც დედის გადაღლილ, მაგრამ მაინც მუდამ მშვიდ სახეს უნდა შემოენათა...

ახლა დედა ოთახშიც ძლივს დადის, პერიოდულად შემომხედავს, ინსტიქტურად გამიღიმებს, ზოგჯერ ისეთი განყენებული გამომეტყველება აქვს, რომ მგონია, ვერ მცნობს... მოხუცდა, დაუძლურდა, რაც კი ჯანი და ენერგია ჰქონდა, სულ მე დამახარჯა. ღმერთო, დიდხანს მიცოცხლე!

სანამ სიტყვა „კოვიდი“ გაჩნდებოდა, დღის განმავლობაში ხან მეზობელი შემომხედავდა, ხან ვინმე ახლობელს ან ნაცნობს გავახ-სენდებოდი და მომიკაკუნებდა... ახლა კი ეს იშვიათობაა და ამიტომ თავს ბედნიერად ვთვლი, დღის ბოლომდე ერთი ნაცნობი მაინც თუ დამირეკავს. საუბარს და ურთიერთობას, თუნდაც სატელეფონოს, ჩემთვის უზომოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. ძალას მაძლევს და სხვა რეალობაში გადავყავარ ცოცხალი ადამიანის ხმას... ამას წინათ ერთმა ახლობელმა, რომელსაც კარგად ესმის ჩემი, შემომთავაზა, დავრჩენილიყავი ქსელში, როცა ის სხვას ესაუბრებოდა სკაიპით. ისინი საუბრობდნენ თავიანთ ოჯახურ, ყოფით ამბებზე, სხვადასხვა წვრილმან ყოველდღიურობაზე, ბუნებრივად, უშუალოდ, გადაპრან-ჭვების გარეშე, იცინოდნენ, ხუმრობდნენ... მე მარტო მაყურებლის და

მსმენელის როლში ვიყავი, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა განწყობის გასაუმჯობესებლად, მარტოობისა და ერთფეროვნებისაგან თავის დასალწევად. ნამდვილად დიდი ძალა აქვს ადამიანებთან ურთიერთობას, რომელიც ამ ბოლო დროს ძალიან მაკლია.

...ვიძინებ, უფრო სწორედ, ვცდილობ დავიძინო 11-ზე, თუ, რა თქმა უნდა, სიმშვიდეა ჩემებთან - მხედველობაში მყავს დედა და ხათუნა, ჩემი დალუპული ძმის მეუღლე.

სულ ესაა და ეს - ჩემი ერთი დღე, რომელსაც, მთლად აუტანელი რომ არ გახდეს, შეძლებისდაგვარად, ვახალისებ და ვალამაზებ.

ყველაფერს, რა თქმა უნდა, ვერ დაწერ, ისევე, როგორც ვერ იტყვი და არც არის, ალბათ, საჭირო. ამიტომ მირჩევნია, ზოგი რამ ფარდის მიღმა დარჩეს... ძირითადი კი ეს არის, რაც შევეცადე ალალად და გულწრფელად გადმომეცა.

ჩემები

ჩემი ცხოვრების მანძილზე უამრავი რამ მაქვს წაკითხული ჩემს დაავადებაზე, ზოგჯერ ექიმები მეტყოდნენ - შენი ცოდნით ერთ ცუდ ექიმს სჯობნიხარო. ექიმები ექიმებად, მაგრამ დღეს უკვე დანამდვილებით ვიცი, რომ მთავარი მკურნალობის შედეგად მიღწეულის მოვლა და რეაბილიტაციაა, რომელშიც განსაკუთრებულ როლი აკისრია ოჯახს, გარემოს, მშობლების და ოჯახის სხვა წევრების განონას-წორებულ ქცევებს და მიდგომებს,

ორი აზრი არ არსებობს, შვილი ცერებრალური დამბლით ოჯახისთვის დიდი დარტყმაა, რომლის ადექვატურ აღქმას განსაკუთრებული მომზადება და შინაგანი სიძლიერე სჭირდება. საკუთარი მძიმე ხვედრის მიუხედავად, ბედნიერია ცერებრალური დამბლით დაავადებული ის ბავშვი, რომელიც გაჩნდა მოსიყვარულე, მყარ, ძლიერ და, მით უფრო, ინტელექტუალურ ოჯახში, სადაც, დაავადების მიზეზების ძიებაზე მეტად, ეძებენ კვალიფიციურ ექიმებს, ისწრაფვიან ავადმყოფობის პროგრესირების შეჩერებისკენ და, მისი სიმძიმის მიხედვით, ცდილობენ შეუქმნან შვილს შესაბამისი გარემო და პირობები.

მე სწორედ ასეთ ოჯახში დავიძადე. მთელი ცხოვრება ოჯახის წევრები მხოლოდ სიყვარულის მაგალითებს მაძლევდნენ.

მამაჩემს, აპოლონ გადელიას, ჩემი ავადმყოფობის გამოვლენისთანავე, რომ იტყვიან, ცა და მინა შეუყრია, არ დაუტოვებია საქართველოში იმ პერიოდისათვის ცნობილი ექიმ-ორთოპედები... ყველგან, თურმე, ხელში ატატებული დავყავდი, სულ მეფერებოდა, მანგბიცრებდა, პროფესიონ პედაგოგი კარგად იცნობდა ბავშვების ფსიქოლოგიას და ამიტომ მიყვარდა მამასთან ურთიერთობა, თამაში. სანამ პატარა ვიყავი, ასე მეგონა, მამა ყველაზე ძლიერი, ყველაზე მხიარული და ყოვლისშემძლე იყო და სულ ასეთი იქნებოდა, მაგრამ, როცა წამოვიზარდე, მივხვდი, ჩემ გამო რამხელა დარდს და ტკივილს ატარებდა ეს სათნო, გულჩვილი და უკეთილშობილესი ადამიანი, რომელიც, რომ დამჭირვებოდა, ასე მგონია, მთელ დედამიწას მოიკიდებდა ზურგზე.

აფხაზეთის ომის მერე მამას იქაურობა არ მიუტოვებია, დარჩა მშობლიურ გალში, სადაც დიდი და პატარა, განურჩევლად ეროვნებისა, ყველა იცნობდა და პატივს სცემდა. ძმის გარდაცვალების შემდეგ კი ერთიანად მოტყდა, დაბეჩავდა, მაგრამ იქაურობა მაინც არ მიუტოვებია - სიცოცხლის ბოლომდე ძმის საფლავს უვლიდა, რომლის მოსაპირკეთებელ ქვებს კილომეტრების მანძილზე მარტოკა ეზიდებოდა.

17 სექტემბერს გარდაიცვალა, ჩემს დაბადების დღეს.

რაკი ასე ვუყვარდი, ვიცი, იმქვეყნიდან რომ მლოცავს და უფლება არ მაქვს, ამ დღეს სევდიანად შევხვდე, თუმცა, ბუნებრივია, არც უმაგისობა იქნება.

ძალიან მაკლია მამა და ჩემი ძმა, ჩემი უსაყვარლესი მერაბი, რომელსაც ჩემი თავი საკუთარ სიცოცხლეს ერჩივნა. თუ რამეს არ უჯერებდნენ, საკმარისი იყო ეთქვა - მარინას გეფიცებიო, რომ უკვე არავის ეპარებოდა ეჭვი მის ნათქვამში. ავადმყოფთა და უძლურთა განმკითხავი იყო, ქუჩაში ყურადღების გარეშე არცერთ ხელგამოწვდილს არ დატოვებდა... მახსოვს ლუდუშაურის სახელობის კლინიკის ჭიშკართან სულ იჯდა ერთი ავადმყოფი ეტლით, რომელსაც ყოველდღე ეხმარებოდა - მე ვიცი, რას ნიშნავს მის მდგომარეობაში ყოფნაო... სახლიდან ისე არ გავიდოდა, ჩემთვის რომ არ ეკოცნა... მხოლოდ ის საბედისწერო, ავარიის დღე აღმოჩნდა გამონაკლისი - სახლში შემოიბინა და უცებ ისე გაიცა, ჩემთან არც შემოუხედავს, მხოლოდ ხმა გავიგე, რამდენიმე წუთში დავბრუნდებიო და ასე „ბრუნდება“ დღემდე... ასე მგონია, აგერ, სადაცაა შემოაღებს კარებს, მისებურად კიდევ გამიღიმებს და ჩამიხუტებს... მენატრება მერაბი, ჩემი ყველაზე უახლოესი და უსაყვარლესი ადამიანი, რომელიც ამჟამად უკვე ზეციური სამყაროდან მესაუბრება.

ვმადლობ უფალს, რომ მერაბის დანაკლისს მისი შვილები და შვილიშვილები მიესებენ. ახლა, როდესაც დედა დაუძლურებულია, თითქმის სულ ჩვენთანაა მერაბის განუმეორებელი მეუღლე ხათუნა, რომელიც ერთი წუთითაც არ გვტოვებს უყურადღებოდ. მადლობა მას გულისხმიერებისა და ერთგულებისთვის.

ფედა - ყველაზე დიდი ავტორიტეტი

ყველა, ჩემნაირი ავადმყოფის დედა, გმირია, ნამდვილი გმირი!
ამას სრული პასუხისმგებლობით ვამპობ!

მძიმეა ჩვენი დედების ჯვარი, რომლებსაც ისინი მთელი ცხოვრება ზურგზე მოკიდებული დაატარებენ... ზოგჯერ სრულიად მარტონიც - ხელის შეშველების გარეშე!

თუ დაკვირვებისართ, ჩემნაირი და მსგავსი ავადმყოფობის მქონე შვილების დედები, როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეწვენოთ, მშვიდები, მომთმენები, ამტანები, მოწესრიგებულები და მიზანმიმართულები არიან, ხშირ შემთხვევაში, ჩვეულებრივ დედებზე უფრო მეტადაც. ასე მგონია, მათ მეტი ნიჭი აქვთ სიყვარულისა და სითბოს გაცემის, მეტი თანადგომა იციან, უფრო მეტის პატიება შეუძლიათ... თითქოს ეს ნიჭები ღმერთმა მათ ავადმყოფი შვილების საკომპენსაციოდ მისცა...

ღმერთი ვერ ასწრებს ყველგან იყოს ერთდროულად, სწორედ ამიტომ შექმნა მან დედაო - მახსოვს, სადღაც ამოვიკითხე და ამიტომაც მუდამ ვემადლიერები ღმერთს, რომელმაც ასეთი დედა მაჩუქა...

დედაჩემი - ქსენია ქარდავა!

ჩემთვის ქრისტიანი ქალის, დედის, ცოლის და, ზოგადად, ადამი-ანურობის ეტალონი, ჩემი ყველაზე დიდი ავტორიტეტი.

25 წლამდე მატარა ხელით - დღემდე ვგრძნობ იმ მკლავების სიძლიერეს, არტახებივით რომ მიკრავდა დედას ჩაბლაუჭებულ მთელსხეულს.

25 წელი მინას არ შევხებივარ... 25 წელიწადი ასე, ხელში ატატებული „გადავდიოდი“ საავადმყოფოდან - საავადმყოფოში, ქალაქიდან - ქალაქში... დედას, ერთი შეხედვით, ამ უბრალო და ჩია ქალს, რომელსაც არანაირი სამედიცინო განათლება არ მიუღია, ყოველთვის განცვიფრებაში მოჰყავდა ექიმები დაავადების დინამიკაში აღწერით, ფსიქოლოგიური დაკვირვებებითა და ანალიზით... ამიტომ, არსად, არცერთ საავადმყოფოში დედის გარდა სხვა მომვლელი არ მყოლია,

არც იქ, სადაც ე. წ. თავმდგომის დიდი ხნით გაჩერება აკრძალული იყო. დედა ყოველთვის ეძებდა და პოულობდა გამოსავალს - ის დებდა პირობას, რომ საკუთარი შვილის პარალელურად, მიხედავდა და მოუკელიდა დანარჩენ მწოლიარე, ყველაზე მძიმე ავადმყოფებსაც, გააკეთებდა ყველა საქმეს, რომელსაც დაავალებდნენ, მათ შორის ისეთსაც, რომელსაც ხელფასიანი თანამშრომლებიც გაურბოდნენ...

არ მახსოვს, დედაჩემის დაუინებული თხოვნისა და ამგვარი თავ-განწირვის წინაშე რომელიმე მთავარ ექიმს უკან არ დაეხიოს და ორივენი არ გავეფორმებინეთ - მე ავადმყოფის, დედა კი - მომვლელის სტატუსით. გარკვეული დროის შემდეგ ექიმები აქეთ უხდიდნენ მაღლობას დედაჩემს, რომელიც ერთდროულად რამდენიმე ავადმყოფს უვლიდა, ამზნებდა, ეფერებოდა, სულ დაკავებული იყო - ერთი პალატიდან მეორეში გარბოდა, ყველას უყვარდა, მის მაგალითზე მიუთითებდნენ ექიმები მოწუნუნე და გადაღლილ მშობლებს, რომლებსაც ზოგჯერ ყველაფერი ბეზრდებოდათ და სასონარკვეთილებაში ვარდებოდნენ. ხშირად გამიგია ამ დროს ექიმების-გან - „ქსენიას მიბაძეთ, ქსენიას!“

განა არ იღლებოდა? განა არ უტირია, ჩუმად, ჩემგან შეფარულად? განა გულში არ უჭირდა გარეგნულად მუდამ მომლიმარსა და მშვიდს? განა არ გრძნობდა, რომ ჩემი ფეხზე დაყენება თვეების და წლების ამბავი რომ არ იყო? ყოველივე ამას მერე მივხვდი, როცა ცოტა წამოვიზარდე და ყველაფერი გავაცნობიერე, თორემ მაშინ, ბავშვობაში, მის ზურგზე არხეინად წამოსკუპებულს, დედაჩემი ყოვლისშემძლე მეგონა.

ექვსი თვის ასაკიდან არ დაგვიტოვებია მაშინდელი თითქმის არცერთი ბავშვთა ორთოპედიული ცენტრი. საქართველოს ქალაქებზე რომ არაფერი ვთქვა, მოვლილი გვაქვს - მოსკოვი, ლენინგრადი, კურგანი, ევპატორია... ზოგან წლების განმავლობაში ვცხოვრობდით. სხვანაირად, ანუ იქეთ-აქეთ წონიალით, ორივესთვის ძნელი იქნებოდა და 30 პპერაციის გადატანა. საავადმყოფო ჩვენთვის სახლიც იყო, სამკურნალო დაწესებულებაც და სკოლაც...

დაწყებითი კლასი ლენინგრადის ტურნერის სახელობის ბავშვთა ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინსტიტუტში დავამთავრე... ვსწავლობდი ხან რუსულად ნათარგმნი ქართული სახელმძღვანელოებით, ხან რუსული სკოლებისათვის განკუთვნილი წიგნებით.... დედა აქაც მომვლელად იყო გაფორმებული წლების მანძილზე და რას არ აკეთებდა, შეიძლება ითქვას, კანში ძვრებოდა, რომ როგორმე ფეხზე დავმდგარიყავი და, ამასთან ერთად, უსწავლელიც არ დავრჩენილიყავო.

ხშირად მითქვამს გულში - მადლობა, ღმერთო, რომ ასეთი დედა მაჩუქე-მეთქი. ღმერთისადმი მადლიერება, ისევე, როგორც სხვა ყველაფერი, დედამ მასწავლა - ბავშვობიდან მინერგავდა, რომ ვყოფილიყავი ყველას მიმართ კეთილი, თავაზიანი და მადლიერებით მიმელო ყველა საჩუქარი, მომწონდა თუ არ მომწონდა. ძნელია, დედაჩემის მდგომარეობაში მყოფი ადამიანის ხვედრი, ძნელია, მთელი ცხოვრება უვლიდე ინვალიდ შვილს... ვერ ვიტყვი, არასოდეს დაუწუნუნია-მეთქი, მაგრამ ჩემი თანდასწრებით ნამდვილად არ მახსოვს, ღმერთისთვის ესაყვედუროს. ერთი რამეს კი ხშირად იმეორებდა - მორწმუნე და მლოცველების ოჯახიდან ვარ და ასე რატომ დავისაჯეთო....

დედაჩემი ჩემი ნაწილია. სულიერად ხომ არის და არის ჩემი ნაწილი, ზოგჯერ მგონია, რომ სხეულიც ერთი გვაქვს... უთქმელად იცის, სად მტკიცა, როგორი ხელის მოსმა მჭირდება - სად მეტი, სად - ნაკლები. ჩემი ცხოვრების მანძილზე მასაუის მეტი რა მიკეთებია (თუმცა, ამ ბოლო დროს ეს აუცილებელი პროცედურა ჩემთვის ძალიან ძვირი სიამოვნებაა), მაგრამ დედაჩემისნაირი თბილი და მოქნილი ხელები არასდროს მინახავს. ამას საავადმყოფოს ის პაციენტებიც აღნიშნავდნენ, რომლებსაც დედა უვლიდა. ქსენიას მერე ასეთი მომვლელის პოვნა გაგვიჭირდებაო - ამბობდნენ საავადმყოფოს ექიმები.

ხასიათებით კი ნაკლებად ვგავართ ერთმანეთს. იშვიათია დედაჩემისნაირი მშვიდი, აუღელვებელი, მომთმენი და თავმდაბალი ადამიანი. ყოველთვის მშურდა მისი სიმშვიდის და, ამავე დროს, უდიდესი

შინაგანი ძალის, შინაგანი სიძლიერის, რომელსაც მეგონა, რომ ვე-რასდროს ვერაფერი შეასუსტებდა, მაგრამ მერაბის, ჩემი ერთად-ერთი ძმის სიკვდილმა მიწას დაანარცხა ყველა იმედი - მე, მაშინ ყავარჯვებით მოსიარულე, შოკისგან ლოგინს მთლიანად მივეჯაჭვე და დღემდე ასე ვარ, დედა მწერალისგან სულ ერთიანად ჩამოდნა, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ჩემს თავს მეზობლებს მიაბარებდა და მაინც ახერხებდა გალში შეღწევას, შვილის საფლავის და საფლა-ვისმცველად დატოვებული ქმრის მონახულებას...

მამის გარდაცვალების შემდეგ კი, უკვე თავადაც მომტყდარი და დაუძლურებული, ვერ იჩემებდა ენგურზე გადასვლას, რომელიც, ვინ მოსთვლის, ყოველ ჯერზე რა ნერვების ფასად უჯდებოდა. ერთად-ერთი, რაც ჯერ კიდევ შეეძლო, სახლიდან რამდენიმე საათით გასვლა და ქუჩა-ქუჩა სანთლების გაყიდვა იყო, რომ მარტო პენსიის იმედად არ დავრჩინილიყავით. განა რამდენი სანთელი უნდა გაეყიდა, რომ, ძმისა და მამის გარდაცვალების შემდეგ, თუნდაც მცირე დამატებითი შემოსავალი გვევრნო... კაპიკებზე იდგა გარეთ, მაგრამ მაინც მად-ლიერი იყო, რომ შეეძლო ჩემი თავი გაეხარებინა ჩემთვის საყვარე-ლი რომელიმე ნუჯბარით, თუ რაიმე წვრილმანით... არ მახსოვს უს-აჩუქროდ დაპრუნებულიყოს. რა პატარა ბავშვივით მექცევი-მეთქი, ვეტყოდი ზოგჯერ, მაგრამ ვიცოდი, რომ მას ასე სიამოვნებდა და არ მქონდა უფლება, ამისთვის „დამეტუქსა“.

ყველანაირმა გაჭირვებამ საბოლოოდ მაინც დაამარცხა მისი ყოვ-ლისმომთმენი გული, აქეთ სიბერემაც უნია და 83 წლის ასაკში გულის რვასაათიანი ოპერაცია გადაიტანა კეთილი ადამიანების შენევნით. მას მერე გარეთ ფეხი არ გაუდგამს და დღეს უკვე ოთაშშიაც ძლივს დაფარ-ფატებს ცხოვრებასთან ჭიდილში გადაღლილ-გადაქანცული.

ახლა მე და დედას ჩემი რძალი, ძმის ცოლი ხათუნა, გვივლის. თვითონაც ავად არის, კოქსართორზი აქეს. იცის ოპერაცია რომ სჭირდება, მაგრამ მერე თქვენ ვინ მოგხედავთო და არის ასე - მუდ-მივად ტკივილგამაყუჩებლებზე.

პოეზიის წუთები

ზოგჯერ დღეები ისე გავა, დედას საერთოდ ვერ ვხედავ და
არც ხმა მესმის მისი. წევს თავისთვის და, ბუნებით ისედაც ჩუმი
და უენო, ზოგჯერ საერთოდ არ ლაპარაკობს. ამ ბოლო დროს ლე-
ქსები აქვს ამოჩემებული - წევს და კითხულობს ლექსებს, რომელიც
სულ უყვარდა, მეც მასწავლიდა და თვითონაც სწავლობდა. ზოგჯერ,
როცა ლექსებს შედარებით ხმამალლა და გამოკვეთილად კითხუ-
ლობს, ასე მგონია, ისევ ძველებურადაა - მხნე, დაუზარელი და მე-
ბრძოლი... პოეზიის წუთები რომ ეწყება, ცრემლებს ვერ ვიკავებ, მა-
გრამ, რაკი დედის ხმა მესმის, მაინც უბედნიერესი ადამიანი ვარ და
მჯერა, რომ ამასაც ისევ ჩემს გასამხნევებლად აკეთებს... თუმცა,
როდესაც ათასში ერთხელ საწოლიდან წამომდგარი და ჩემს ოთახთან
ჩავლილი თავისი სხივჩამქრალი, მაგრამ ძველებურად უსაშველოდ
კეთილი თვალებით დიდხანს მაშტერდება, ვიცი, რომ ვერ მცნობს...

ნარსული - მანდარინებს სურნელით

აქტიურ ცხოვრებას მოკლებული ადამიანისათვის ყველაზე დიდი ანტიდეპრესანტი ადამიანებთან ურთიერთობაა. ეს მე გამოცდილებით ვიცი, ვინაიდან ამ ურთიერთობებს, რომლისკენაც ყოველთვის მივიღლტვოდი, ბევრჯერ გადავურჩენივარ სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული დეპრესისგან, უიმედობისგან და ყველაზე შემაძრნუნებელი სასოწარკვეთილებისგანაც კი.

ზოგადად, ურთიერთობა ყველაფრის გადამრჩენია. დარწმუნებული ვარ, აფხაზეთიც მხოლოდ ურთიერთობით დაგვიბრუნდება.

... გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც მთელი საქართველო ომით გამოწვეულ ათასნაირ უბედურებას განიცდიდა, ჩვენ სწორედ ამ ურთიერთობის წყალობით გადავრჩით... უჭირდა მაშინ მთელ საქართველოს, განსაკუთრებით გვიჭირდა დევნილებს, რომლებმაც ყველაფერი დავკარგეთ - უძრავიც და მოძრავიც, დავკარგეთ ადამიანები, ახლობლები, მეზობლები, რომლებთანაც ჭირსა და ლხინს ვიყოფდით... ოჯახის წევრებს, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთის გარდა, არავინ გვყავდა მომკითხავი. გვიჭირდა არა მარტო მატერიალურად, არამედ, ფსიქოლოგიურად, შინაგანი, ენით ამოუთქმელი ადამიანური ტკივილის გამო. რამდენი ვერ შეეგუა უცხო გარემოს და, ომს გადარჩენილი, სწორედ ამ შინაგანი ტკივილის გამო გარდა-იცვალა.

ადვილი წარმოსადგენია, რა ძნელი გადასალახი იქნებოდა, განსაკუთრებით ჩემი მდგომარეობის ადამიანისათვის, უცხო გარემო, უცხო ხალხი... მიუხედავად იმისა, რომ ჩემი უსაყვარლესი ადამიანები - მამა და ძმა მაშინ ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ და, რამდენადაც შეეძლოთ, ცივ ნიავს არ მაკარებდნენ, თავი მაინც სიზმარში მეგონა - მართალია, საავადმყოფოს მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მეორე სახლად აღვიქვამდი, მაგრამ, აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ, ვერ წარმომედგინა, როგორ ვიცხოვრებდი თუნდაც ჩემს, თითქმის მშობლიურ ღუდუშაურის კლინიკაში, სადაც ჩემს ოჯახს შესანიშნავი ოთახი გამოუყო ადმინისტრაციამ. ვერ წარმომედგინა,

რომ ვერასდროს დავუბრუნდებოდი ჩემს სახლს, ჩემს მანდარინების სურნელით გაუდენთილ ბალს, სადაც მედგა მაგიდა, ტელეფონი, იქვე მეწყო ჟურნალ-გაზეთები, წიგნები... ზაფხულობით მთელ დღეებს ამ ჩემს „ლია კაპინეტში“ ვატარებდი, ვკითხულობდი, ვწერდი, იქვე ვდებულობდი მნახველებს, ვკირბებოდით მეზობლები.... ერთი სიტყვით, სხვა ყველაფერთან ერთად, დავკარგე ჩემი სივრცე, ჩემი მიკროსა-მყარო, თუმცა, ვცდილობდი, ამის შესახებ ხმამაღლა არ მესაუბრა და უფრო დიდი ტკივილი არ მიმეუყნებინა ჩემებისთვის, რომლებსაც ჩემზე მეტად უჭირდათ.

გახსენებაც არ მინდა იმ საშინელი დღეების, როცა ყველგან ჩემი ბალის მანდარინების სურნელი დამყვებოდა და დედამიწის ზურგზე ჩემზე უბედური ადამიანი არ მეგულებოდა... მაგრამ გადავრჩი და ამაში, ისევე, როგორც სხვა ყველაფერში, ლმერთს ვემადლიერები, რომელიც სწორედ ჩემთვის ყველაზე კრიტიკულ პერიოდებში მიგზავნიდა იმ ადამიანებს, რომლებიც ყველაზე მეტად მჭირდებოდა, რომელთა მეშვეობით ახალ გარემოსთან შეგუება და ურთიერთობა მიადგინდებოდა.

მართალია, ბუნებით ოპტიმისტი ვარ და წარსულით ცხოვრება არ მიყვარს, მაგრამ ზოგჯერ ისე მომაწვება ჩემი დაკარგული კუთხის, დღეს უკვე თითქმის განადგურებული ჩემი ეზოს, ბალის და მასში ჩემთვის ყველაზე ახლობელი, მანდარინების სურნელი, რომ მინდა ხმამაღლა ვიყვირო ყველას გასაგონად - ნუ დავკარგავთ, ნუ გავურბივართ ერთმანეთს, გავამხნევოთ და ხშირად მოვიკითხოთ ერთმანეთი, გავუფრთხილდეთ ჩვენს ურთიერთობებს და ასე - ერთმანეთის გადარჩენით, გადაგვირჩება აფხაზეთი და დაგვიბრუნდება ის ჩვენი მონატრებული მანდარინების ბალის სურნელიც.

ჩემი მაღალიძის

დევნილობის პირველ წლებში აღმოვაჩინე, რომ არსებობს რა-დიორახი „თანაგრძნობა“ და მისი მუდმივი წამყვანი, ქართული უუ-რნალისტიკის ლეგენდა, ქალბატონი მედეა გეგეშიძე. როგორლაც მოვახერხე და დავუკავშირდი... დიდხანს მისმენდა. პირველივე საუ-ბრის შემდეგ მინახულა. იმხანად ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში ვცხოვრობდით. ძნელია იმ განცდების ენით აღწერა, რომელიც ქალ-ბატონ მედეას სახეზე, მის თვალებში იკითხებოდა ჩემთან საუბრისას. ეს იყო ნამდვილი, შეუნილბავი, ადამიანური თანაგრძნობა, სხვისი ტკივილის გათავისებული განცდა, რითმე დახმარების დაუოკებელი სურვილი. იგი თითქოს შენი სულის სიმებს ეხებოდა, გიშინაურდებო-და, გამშვიდებდა, გიხსნიდა ყოველგვარ უხერხულობას და რამდენიმე წუთში „შენიან“ ხდებოდა. არ ვიცი, იქნებ, ვცდებოდე, მაგრამ დღე-ვანდელ საქართველოს ნამდვილად აკლია მედეასნაირი ადამიანები.

ქალბატონ მედეას გაცნობიდან მეორე დღეს გადაცემა „პიკის საათში“ რამდენჯერმე გაიუღერა ჩემმა სახელმა, ჩემი ამბავი მთელ-მა საქართველომ გაიგო. რამდენიმე დღეში შემომიყვანეს ტელეფო-ნი და რადიო. ჩემი ურთიერთობა ქალბატონ მედეასთან თითქმის მეგობრულში გადაიზარდა. ხშირად მირეკვდა. მოდიოდა დაბადების დღეებზე. ჩემთვის დღემდე ძვირფასია მისი ნაჩუქარი პატარა დათუ-ნია და კობალტის ფინჯანი თავისი ლამპაქით.

ღუდუშაურის კლინიკაში, სადაც ჩვენს ოჯახს ორი ოთახი ჰქონდა გამოყოფილი, ჩემებმა დიდი დაბადების დღე გადამიხადეს. ქალბატო-ნი მედეა რადიომაუწყებლობის თანამშრომლებთან და უმშვერიერეს ქალბატონ, მხატვრული კითხვის დიდოსტატ თათია ხაინდრავასთან ერთად მესტუმრა. მაშინ გავიგე, რომ თურმე ქალბატონი თათიაც აფხაზეთში, გაგრაში ყოფილა დაბადებული. დღემდე დაუვიწყარია ჩემთვის ის დაბადების დღე, რომელიც ქალბატონმა მედეამ ნამდ-ვილ ზეიმად მიქცია. ჩვეულებრივ დღეებშიც მომიკითხავდა, ოღონდ უჩუმრად - მოვიდოდა, დააკაუნებდა, იქვე, კარებთან ათასი ნუგ-ბარით სავსე ჩანთას დატოვებდა და გაიქცეოდა, როგორც ჩანს, თავს

არიდებდა ჩემების შეწუხებას, რომლებიც მას ყოველთვის განსაკუთრებული პატივით ხვდებოდნენ.

ერთხელაც დამირეკა და მითხრა - ახლა მოსკოვში მივფრინავ, ჩამოვალ და შენზე დიდ გადაცემას გავაკეთებო... ეს იყო ჩვენი ბოლო საუბარი - მას გზაში გულმა უმტყუნა... ქალბატონი მედეას გარდაცვალება ყველაზე ახლობელი ადამიანივით განვიცადე და მის ხსოვნას მუდამ მადლიერებით ვატარებ გულში.

საჩუქარი ოთარ ლუდუშაურისთვის

იმ პერიოდში, როდესაც რუსეთიდან ჩამოსული გენიალური ტრავ-მატოლოგი ოთარ ლუდუშაური საქართველოში საკუთარ სკოლას ამ-კვიდრებდა, მე საკმაოდ მოზრდილი ვიყავი - ასე 20- 22 წლის. ლუ-დუშაურის მეთოდით მკურნალობა ინერგებოდა ყველგან, მათ შორის, აფხაზეთში და ჩემს მშობლიურ გალშიც, მაგრამ მე ავიჩემე, მაინც-დამაინც პირადად უნდა მოვხვდე ოთარ ლუდუშაურთან-მეთქი. ჩემი ახლობლები და, მათ შორის, ექიმებიც, მარწმუნებდნენ, მასთან მოხ-ვედრა არც ისე იოლია, დროს კარგავ, ადგილზე იმკურნალეო. ზოგი-ერთები იმასაც ამბობდნენ, ყველას არ ღებულობს, მასთან მოხვედრა მარტო ნაცნობობითაა შესაძლებელიო. ერთი სიტყვით, რა ჭორებს არ ავრცელებდნენ. მაშინ გავპრაზდი და რაც ხელში მომხვდა იმ კალ-მით (მახსოვს წითელი ფერის იყო) დავწერე წერილი პირადად ბა-ტონ ოთარის სახელზე. რამდენიმე დღეში მომივიდა პასუხი - ჩამოდი, გელოდებითო. საჩქაროდ გავემზადეთ და, ყოველი შემთხვევისათ-ვის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან წერილიც წავიღეთ. მხ-ოლოდ ადგილზე მისვლის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ბატონი ოთარის სახელის გარშემო აუიოტაჟი ხელოვნურად იყო ატებილი - საერთოდ არ იყო საჭირო არანაირი წერილი და შუამდგომლობები, ამხელა რე-გალიებისა და ჩინ-მედლების მქონე, საქვეყნოდ ცნობილი ტრავმატო-ლოგ-აკადემიკოსი ერთნაირად ღებულობდა ყველას - ნაცნობსაც და უცნობსაც, დერეფნები გადაჭედილი იყო ხალხით, ჩემნაირი და ჩემზე ბევრად მძიმე ავადყოფებით.

პრველივე შეხვედრისთანავე ვუთხარი: ბატონო ოთარ, თქვენს ხელში ვარ და რაც გინდათ ის მიყავით, 15 ოპერაციაც რომ იყოს საჭირო, ავიტან, ოღონდ ფეხზე დამაყენეთ-მეთქი. მხარზე ხელი მომითათუნა, გამიღიმა და თბილად, სანდოდ, ძალიან გულწრფელად მესაუბრა - ჯერ შემაქო, ყოჩალი გოგო ჩანხარო, მაგრამ, როცა გამსინჯა, იქვე მითხრა - შენი მდგომარეობა რთულია, თუმცა, მე და შენ თუ მოვინდომებთ, შეიძლება რაღაცას მივაღწიოთო. ამის მერე ოპერაცია ოპერაციას მის-დევდა, რეაბილიტაცია-რეაბილიტაციას, თვითონ მიტარებდა და ესწრე-

ბოდა ვარჯიშებს. ყოველ ჯერზე პატარ-პატარა შედეგებს ვაღწევდით. უშუალოდ ბატონი ოთარის ხელით რვა ობერაცია მაქვს გაკეთებული. სულ კი, იმდროინდელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კლინიკაში - 30.

ღუდუშაურის კლინიკაში ყოველ ჯერზე, სამ-სამი და ოთხ-ოთხი თვე ვიწერი. აფხაზეთის ომის შემდეგ კი იგი საერთოდ ჩემს სახლად იქცა - მართალია, ბატონი ოთარი მაშინ გარდაცვლილი იყო, მაგრამ იმდენად ახლოს ვიყავი მისი ოჯახის წევრებთან, განსაკუთრებით მის ქალიშვილთან, ქალბატონ მარინა ღუდუშაურთან, რომ კლინიკის ერთ-ერთ კორპუსში ორი ოთახი გამოგვიყვეს, სადაც სამ წელზე მეტი ვიცხოვრეთ.

საოცრად კეთილი და თბილი შინაგანი ბუნება ჰქონდა ბატონ ოთარს. პალატაში ყველას სახელებით, მშობლიური ადამიანები-ვით მოიკითხავდა, ხან მოგვეფერებოდა, ხან დაგვტუქსავდა (თუკი ვარჯიშებს ჯეროვნად არ ვაკეთებდით), თუმცა, გარეგნულად მაინც მკაცრი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ძნელად ამოიკითხავდი მის სახეზე ემოციებს, სიხარულს, წყნას, გაბრაზებას, თუმცა, ჩემთან ერთად, ბევრმა შენიშნა ცრემლი. ეს კი ასე მოხდა - მისი საიუბილეო დღეები ახლოვდებოდა, თუმცა კლინიკაში ამასთან დაკავშირებით, როგორც მე მომეჩვენა, არაფერი ხდებოდა განსაკუთრებული. მაშინ მომაფიქრდა, რომ თავად გავუკეთებდი ბატონ ოთარს სამახსოვრო საჩუქარს. ჩემებს დიდი ზომის ალბომი ვაყიდინე, რომელიც, მახსოვს, საკმაოდ მძიმეც იყო და გავავსე ბატონი ოთარისადმი მიძღვნილი წერილებით, ნახატებით, ლექსებით, სხვადასხვა ისტორიებით, რაც ამ კლინიკაში გადამხდენია... ერთი სიტყვით, მართლაც ბევრი ვიშრომე, რომ იტყვიან, მთელი სული და გული ჩავაქსოვე ამ საჩუქარს.

დადგა ბატონი ოთარის დაბადების დღეც. ის, ჩვეულებრივად, პალატების შემოვლაზე იყო, როცა ამავე კლინიკის ექიმ-ტრავმატოლოგს, ბატონ ვაჟა მარსაგიშვილს ვთხოვე, „ეშუამდგომლა“ ბატონ ოთართან და მოეხსენებინა, რომ მისთვის რაღაც მნიშვნელოვანი მქონდა სათქმელი. ბატონი ოთარი კლინიკის გრძელ დერეფანში

გამოვიდა, იქვე შეკრებილმა ექიმებმა გზა გამიხსნეს, მე ყავარჯინები მოვიმარჯვე, ალბომი ბატონმა ვაჟამ დამიჭირა და ასე - სვენებ-სვენებით და ალელვებული მივუახლოვდი ბატონ ოთარს, რომელიც გაკვირვებული მომჩერებოდა. ნეტავ, რა აქვს ასეთი მნიშვნელოვანი სათქმელით - ფიქრობდნენ იქვე შეკრებილი ექიმები და სმენად იყენებ გაკრეფილები. რომელი დახელოვნებული ორატორი მე ვიყავი, ამდენი ხალხის წინაშე თავისუფლად გამოვსულიყავი... რა თქმა უნდა, ვლელავდი, წინასწარ მომზადებული სიტყვები ერთმანეთში ამერია, მაგრამ მერე ძალა მოვიკრიბე, დავმშვიდდი, მივულოცე, რაც მინდოდა, ყველაფერი ვუთხარი და, ბატონი ვაჟას დახმარებით, ალბომიც გადავეცი. ბატონმა ოთარმა ჯერ ნახატები გადაათვალიერა, ნაწერებს და ლექსებსაც მოვლო თვალი, მერე გახარებული და ცრემლჩამდგარი სახით მომიბრუნდა და ყველას გასაგონად თქვა - ჩემი ცხოვრების მანძილზე მრავალი დაბადების დღე გადამიხდია, მრავალი ჯილდო და საჩუქარიც მიმიღია, მაგრამ ასეთი - არასოდეს, ეს ჩემთვის ყველაზე ძვირფასი და გამორჩეულიაო. საჩუქრის მიღების შემდეგ ბატონმა ოთარმა მთხოვა, ყველაფერი, რაც იმ ალბომში მეწერა, რუსულად მეთარგმნა. მეცხრე ცაზე ვიყავი სიხარულისგან, რომ ასე ვასიამოვნე ჩემთვის უძვირფასეს ადამიანს. მოგვიანებით კი, რაც იმ ალბომში მეწერა, რუსულად ვთარგმნე და ისიც მივართვი.

ბატონმა ოთარმა, შეიძლება ითქვას, ჩემთვის შეუძლებელიც კი გააკეთა, მაგრამ, სამწუხაროდ, თანდაყოლილი დამბლა არც ისეთი ადვილი მოსათვინიერებელი აღმოჩნდა, როგორც მე წარმომედგინა.

ახლა არ ვიცი, მაგრამ ჩემი ალბომი ღუდუშაურის კლინიკაში, როგორც პაციენტის მადლიერების სიმბოლო, დიდი ხნის მანძილზე ინახებოდა.

პატილის მყოფები

ადამიანის მეხსიერება თავის თავში ირეკლავს და ინახავს ყველა იმ რეალობას, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, რაც გვინახავს და განვიცდია. დროთა განმავლობაში ბევრი რამ გვავიწყდება, ბევრი კი სამუდამოდ შერჩება ხოლმე გონებას და მისი ამოშლა არც თუ ისე ადვილია. ჩემი მეხსიერება მოგონებების ერთგვარი „ბანკია“, საიდან-აც დროდადრო ამომაქვს ჩემთვის ძვირფას იმ ადამიანთა სახელები, რომლებმაც დიდი ხანია, ამ ჩემს „საგანძურში“ თავიანთი ადგილები დაიმკვიდრეს, ზოგი სახელიც ახალია, მაგრამ იმედი მაქვს, ისინიც გაუძლებენ დროს და არ გაფერმირთალდებიან. ასეთი შემთხვევები ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში, ალბათ, ჩვეულებრივი მოვლენაა - ზოგი ადამიანი ისე მიდის შენი ცხოვრებიდან, რომ ურთიერთობის გახსენებაც არ გინდა, ზოგი კი ნათელ კვალს და მადლიერების განცდას გიტოვებს.

მადლიერება არასდროს არ არის ხელოვნური. ის გულიდან ამომავალი გრძნობაა, რომელსაც შენი კეთილისმყოფელის მიმართ განიცდი. ზოგჯერ მგონია, რომ მადლიერი ადამიანი ყოველთვის ბედნიერია და, პირიქით, უმაღური - ყველაზე უბედური. ბედნიერი ვარ, რომ მადლიერების ბუნებრივი გრძნობა არასდროს არ მტოვებს და ჩემს მძიმე ყოფას რაღაცნაირად ავსებს და ამსუბუქებს.

არა მგონია, სხვაგან, ამ კრებულის გარდა, მადლიერების ასე საჯაროდ გამოხატვის საშუალება მომეცეს იმ ადამიანთა მიმართ, რომლებმაც თავიანთი კეთილი კვალი დატოვეს ჩემს ცხოვრებაში. მათი სახელების ჩამოთვლამდე ვშიშობ, ვინმე არ გამომრჩეს, თუმცა, ალბათ, არც უმაგისობა იქნება და ამიტომ წინასწარ ვითხოვ, შენდობას.

მურმან გუნჯუა, გალის საავადმყოფოს ქირურგ-ტრავმატოლოგი, ერთ-ერთი პირველი ექიმი, რომელიც ჩემი ავადმყოფობით სასონარკვეთილ მშობლებს ყოველთვის გვერდში ედგა, ამხნევებდა მათ და არაფერს არ იშურებდა ჩემი მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

სამულა უმხანვი, ლენინგრადის გ. ტურნერის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა ორთოპედიის განყო-

ფილების მეცნიერ-თანამშრომელი, შემდეგში მედიცინის ამ დარგის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, საქვეყნოდ ცნობილი პროფესორი, რომელმაც 5 ოპერაცია გამიკეთა. ამ ოპერაციების შემდეგ, მართალია, ყავარჯენებით, მაგრამ მაინც პირველად გავიარე დამოუკიდებლად. იმ წლებში, როდესაც დედასთან ერთად ამ ინსტიტუტში „ვცხოვრობდი“ (დედა მომვლელად მუშაობდა, მე ოპერაციების შემდეგ რეაბილიტაციას გავდიოდი. დაწყებითი განათლებაც იქ მივიღე), 10-11 წლისა ვიყავი და, მიუხედავად პატარა ასაკისა, ჩემი კომუნიკაციელური ხსიათით, ვცდილობდი ექიმთან მეგობრული ურთიერთობა დამემყარებინა. ხამულა ექიმს, რომელიც სიტყვაძუნი და თავშეკავებული ადამიანი იყო, ჩემს ბავშვურ ტიტინზე ყოველთვის ეღიმებოდა. წლების შემდეგ, ქ. გროზნოში გამოვდებნე სოციალური ქსელის მეშვეობით. არ ვიცი, ნამდვილად გამიხსენა თუ არა (ექიმი ჩვენთვის ერთია, მისთვის კი ჩვენ, პაციენტები - ბევრი) მაგრამ მოკითხვა ძალიან გაუხარდა და დღემდე ვმეგობრობთ. ხამულა ექიმი დღესაც მეხმარება თავისი განუმეორებელი რჩევებითა და დარიგებებით. მართალია, ხამულა ექიმი უკვე ასაკოვანია, მაგრამ კვლავინდებურად პროფესიულ ფორმაშია და, როგორც თავად ამბობს, ძველებური შემართებით ეჭიდება მისი ცხოვრების უმთავრეს საქმეს, ცერებრალურ დამბლას. ამას წინათ, როდესაც ჩემი დღევანდელი მდგომარეობა გაიგო, ძველებურად დამტუქსა - შენ, როგორც ჩანს, ზარმაცობ, კოვიდპანდემია რომ არ მძვინვარებდეს, აუცილებლად ჩამოგაკითხავდი, მივიწყებულ ვარჯიშებს თავიდან „დაგაზუთხიებდი“ და ყურებსაც აგინევდიო.

ამავე ინსტიტუტში მუშაობდა საოცარი მეთოდისტ-მასაჟისტი ლიუდმილა სუხოვა, რომელიც ნამდვილ საოცრებებს ახდენდა, რომ იტყვიან, თავისი საქმის ვირტუოზი იყო. დღემდე მახსოვს მისი ხელების სითბო და საოცრად მოქნილი მოძრაობები. ყველა ავადმყოფი ეცოდებოდა, განსაკუთრებით - ბავშვები. როგორც გვიყვებოდა, თვითონაც ურთულესი ბავშვობა ჰქონია და, ალბათ, ამიტომაც ვუყვარდით ასე ძალიან.

დღემდე ვმეგობრობ იმ ადამიანებთან, რომლებმაც ჩემს რთულ დაავადებასთან გამკლავება და ბრძოლა მასწავლებს, რომლებმაც ჩემში „ავადმყოფის მიღმა“ პიროვნება დაინახეს და, თავინთი სიკეთითა და გულისხმიერებით, ადამიანური ურთიერთობის ჭეშმარიტი გაკვეთილები მომცეს. დღეს ჩემი გახსნილობა და კომუნიკაციელურობა სწორედ ამ ადამიანების დამსახურებაა. ისინი რომ არა, ალბათ, გამიჭირდებოდა იმ ნაჭუჭიდან გამოსვლა, რომელსაც მთელი ჩემი ცხოვრება ზურგით დავატარებ და რომელიც, განსაკუთრებით, აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ დამიმტმდა. აი ისინიც: ვაჟა და ლუიზა მარსაგიშვილები, ნათელა ქუქიშვილი, შადიმან სახვაძე, მთვარისა მთვარაძე, მზია შენგელია, ლევან ნაჭყებია, ზურაბ და ვლადიმერ გუგუჩიაშვილები, ანზორ სხულუხია, ლალი მელია, მზია წიკლაური, მაია მაღრაძე, თამრიკო ბოლქვაძე, მარინა კიკალია, ელგუჯა ბერაია, სოფიკო ჭიაურელი, ლეილა აბაშიძე, ვახტანგ ტატიშვილი, მერი მშვიდობაძე, ქეთევან ბაკარაძე, დავით ფაცაცია, ირმა ბებია, რაისა ქარაია... ვშიშობ, ვინმე არ გამომრჩეს, თუმცა, ვიცი, არც უმაგისობა იქნება და ამიტომ წინასწარ ვითხოვ შენდობას.

ამ ადამიანთა უმრავლესობასთან დღემდე ვმეგობრობ... ზოგი მათგანი, მართალია, უკვე აღარაა ცოცხალი, მაგრამ მათი ნათელი კვალი, სანამ ცოცხალი ვარ, არ წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან.

იტალიური ეტლი ანზორ ერებუშაიშვილისგან

ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში ცხოვრების პერიოდში, განგებამ მრავალ გამოჩენილ და საქვეყნოდ ცნობილ ადამიანთან დამაახლოვა. იმხანად კლინიკაში ოპერაციის შემდგომი მკურნალობის კურსს გადიოდა „ხაზის რადიოს“ უურნალისტის, ქალბატონ ლალი სეთურიძის დედა. ქალბატონი ლალი, ცნობილი ქართველი ფოლკლორისტის, ანსამბლ „რუსთავის“ დამაარსებლის, ან გარდაცვალილი ანზორ ერქომაიშვილის მეუღლე, საოცრად გულისხმიერი, უშუალო და თბილი ადამიანი, დაინტერესდა ჩემი მდგომარეობით და ხშირად მაკითხავდა ხოლმე. ერთხელაც ქალბატონმა ლალიმ ჩემს ოთახში სულ ახალთახალი ინვალიდის ეტლი შემოაგორა და მითხრა - ეს საჩუქარი საგანგებოდ შენთვის იტალიიდანო. თურმე ქალბატონ ლალის განძრახული ჰქონია, ჩემთვის ეტლი ეყიდა, მაგრამ რაკი საქართველოში იმ პერიოდში ამგვარი რან ძნელი საშოვნი იყო, იტალიაში საგასტროლოდ მიმავალი მეუღლისთვის დაუბარებია. ბატონმა ანზორმაც არ დააყოვნა და ასე მოალწია მისმა საჩუქარმა ჩემამდე. მართალია ის ეტლი „დამიპატარავდა“ და გავაჩუქე, მაგრამ რა დამავიწყებს ამ დიდებული ადამიანების, ქალბატონ ლალისა და ბატონი ანზორისგან გამოჩენილ ამ უდიდეს ყურადღებას და სიკეთეს.

31ხტანგ ტატიშვილი ყველა დაბალების დღეს მილოცას

თეატრი და მუსიკა ჩემი გატაცებაა. სიარული რომ შემეძლოს, ალბათ, არ დავტოვებდი არცერთ ჩემთვის საინტერესო სპექტაკლს, რომელთა ნახვის საშუალება დღეს მხოლოდ ტელევიზიის მეშვეობით მაქეს. თითქმის ზეპირად ვიცი ჩვენი დიდი რეჟისორის რობერტ სტურუას გახმაურებული სპექტაკლები, რომელთა შორის, წლების წინ, მართალია, ჩემს გადაადგილებასთან დაკავშირებული დიდი ძალისხმევის ფასად, მაგრამ მაინც მოვახერხე და, ასე ვთქვათ, ცოცხლად ვნახე ჩემი უსაყვარლესი სპექტაკლი - ბერტოლტ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ რეჟისორის სახელობის თეატრში.

საყვარელ მსახიობებთან და მომღერლებთან ურთიერთობა ჩემთვის დიდი პატივი და ბედნიერებაა. ბავშვობიდან ვოცნებობდი ახლოს გამეცნო ჩემი საყვარელი მსახიობები - სოფიკო ჭიაურელი და ლეილა აბაშიძე... ოცნება დევნილობაში ავიხდინე. მართალია ჩვენი შეხვედრა ვერ შედგა, მაგრამ დიდხანს მემახსოვრება მათთან გამართული სასიამოვნო სატელეფონო საუბრები.

ჩემს მრავალრიცხვან ნაცნობთაგან, ცნობილი ივერიელი, ვახტანგ ტატიშვილი ერთ-ერთია, რომელსაც არასდროს არ ავიწყდება 17 სექტემბერი, ჩემი დაბადების დღე. თუ მოსვლა ვერ მოახერხა, ვიცი, სადაც არ უნდა იყოს, აუცილებლად დამირეკავს. იშვიათად შეხვდები პოპულარობისა და უბრალოების ისეთ სინთეზს, როგორც ეს ბატონი ვახტანგის შემთხვევაშია. მასთან ურთიერთობაში საერთოდ გავიწყდება, რომ საქვეყნოდ ცნობილ მომღერალსა და მსახიობს ესაუბრები. უცებ მოგიშინაურდება და თავისი განუმეორებელი იუმორით ყველანაირ უხერხულობას მოგიხსნის.

მახსოვეს ჩვენი გაცნობის დღე. ეს მოხდა წლების წინ... ანსამბლი „ივერია“ შშმ პირებისათვის საქველმოქმედო კონცერტს ატარებდა გრიბოედოვის სახელობის თეატრში. მაშინ ჯერ კიდევ შემეძლო ეტლში ჯდომა და ნათესავთან ერთად წავედი. კონცერტის შემდეგ

იმდენად დიდი იყო შთაბეჭდილება და საყვარელი მომღერლების გაცნობის სურვილი, რომ, დაველოდე, სანამ მსახიობები გამოვიდოდნენ... პირველი სწორედ თეატრიდან გამოსულ ვახტანგ ტატიშვილს მოვკარი თვალი და მეც არ დავაყოვნე... მისკენ მომავალი ეტლიანის დანახვაზე, ბატონი ვახტანგი გაჩერდა და დამელოდა. მე აღფრთოვანებული ვუხდიდი მადლობას ყველა ინვალიდის (ეს ტერმინი ჩემს გალიზიანებას არ იწვევს, პირიქით, იგი „შშმ პირთან“ შედარებით, ბევრად ბუნებრივი და მარტივი მეჩვენება) სახელით. ჩემი განწყობით გახარებული ბატონი ვახტანგი დამპირდა, რომ აუცილებლად მომიწვევდა სხვა კონცერტებზეც. ასეც იყო, თუმცა, კონცერტებს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ხშირად, ბუნებრივია, ვერ ვესწრებოდი. აი „ივერიის“ საიუბილეო კონცერტზე კი ძალ-ღონე მოვიკრიბე და წავედი. ფილარმონიასთან მისულმა მე და ჩემმა ნათესავ მა აღმოვაჩინეთ, რომ არსად იყო პანდუსები, კიბებზე ასვლა, ანუ ეტლიდან გადმოსვლა კი, ბუნებრივია, არ შემეძლო... ან უკან უნდა გამოვბრუნებულიყავი, ან ბატონი ვახტანგისთვის დამერეკა, იქნებ, რამე საშველი გამოეძნა. ძალიან შევწუხდი, არ მინდოდა მისი შეწუხება ზედ კონცერტის წინ, მაგრამ იმდენად დიდი იყო კონცერტზე დასწრების სურვილი, რომ გადავლახე მორიდება და დაუურეკე...

გაირკვა, რომ ფილარმონიას რომელიდაც მხრიდან ჰქონია პანდუსისანირი შესასვლელი და მეც დაუბრკოლებლივ აღვმოჩნდი შენობაში, სადაც ბატონი ვახტაგი დამსვდა აღექსანდრე ბასილაა და ჯემალ ბალაშვილთან ერთად. მახსოვს, როგორ უსაყვედურეს მათ ბატონ ვახტანგს - ადრე რომ გეთქვა ასეთი საპატიო სტუმრის შესახებ, ყვავილებით დავხვდებოდითო. მაშინ მივხვდი, რაც უფრო დიდია ადამიანი, მით უფრო მეტია მასში თავმდაბლობა და უბრალოება. სხვანაირად როგორ უნდა ახსნა მათი ასეთი დამოკიდებულება ერთი, სრულიად უცნობი ადამიანის მიმართ, რომელსაც სხვებისგან ინვალიდობის გარდა არაფერი გამოარჩევს? მე, რა თქმა უნდა, შემრცხვა და უხერხულობა ვიგრძენი მათი ესოდენ დიდი ყურადღების გამო, მაგრამ მთელი კონცერტი მაინც გახარებული და ბედნიერი ვიჯექი...

ზოგიერთი მიღება

ომამდელ პერიოდში გალის საავადმყოფო მთელ საქართველოში იყო ცნობილი თავისი შესანიშნავი ტრადიციებით, მკურნალობის ამა თუ იმ მეთოდისადმი ინოვაციური მიდგომებით, წარმატებული ექიმებით. მაშინ ყავარჯნებით თავისუფლად შემეძლო გადაადგილება და, რაკი მედიცინა ჩემთვის ყველაზე ახლო სფერო იყო, გავბედე და საავადმყოფოს მაშინდელ მთავარ ექიმს, ქალბატონ დალილა ხორავას ვთხოვე, სამსახურში ამიყვანე-მეტქი. წარბი არ შეუხრია, ისე დამთანხმდა. ქალბატონი დალილა კარგ დამოკიდებულებაში იყო ჩემს ოჯახთან, ბავშვობიდან მიცნობდა მეც, მაგრამ ეს არ იყო მთავარი მის გადაწყვეტილებაში - მან ჩემში დაინახა სურვილი, გამერღვია ის ზღუდე, სტიგმა, რომელიც მბოჭავდა, მკეტავდა, საკუთარ თავში დაურწმუნებლობას მიმტკიცებდა, ზედმეტად მორიდებულს და უკონტაქტოს მხდიდა. ქალბატონი დალილა ჭეშმარიტი ექიმის ფსიქოლოგიური ალლოთი მიხვდა, რომ ჩემთვის უარის თქმა საზოგადოებაში გასვლის სურვილის საბოლოო დასამარება იქნებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხით არანაირი განათლება და, მით უფრო, დიპლომი არ მქონდა, მეორე დღესვე გამაფორმა.

სიცოცხლის ბოლომდე მემახსოვრება ჩემი ამ ახალი სამსახურის პირველი დღე.

მთელი ღამე ვბორგავდი და ვნერვიულობდი - ხუმრობა ხომ არ იყო იმხელა კოლექტივში მუშაობა. მართალია, სალონისგან განსხვავებით, საავადმყოფოს გარემო ჩემთვის ბევრად უფრო ახლო და მისაღები იყო, მაგრამ მაინც მეშინოდა - ჩემთვის მთავარი იყო, არა მარტო ის, როგორ მიმიღებდნენ თანამშრომლები, არამედ, როგორ მოვიქცეოდი მე, როგორ დავიჭრდი თავს - მოვიქცეოდი, როგორც ავადმყოფი, საბრალო და განსხვავებული, თუ, პირიქით, როგორც ჩვეულებრივი, მათთან თანასწორი და გაბედული ადამიანი... როგორც იქნა, გათენდა. ვცდილობდი, ჩემებთან არ შემემჩნია ნერვიულობა და თავდაჯერებული ადამიანივით ვიქცეოდი, თუმცა, დედაშინაგან მღელვარებას მაინც მატყობდა და მამშვიდებდა. წინა დღით

შერჩეული, დაუთავებული და გაპინქინებული ტანსაცმელი იმ დილით დედისგან დამოუკიდებლად ჩავიცვი, მაკიაჟს და თმებსაც მივხედე და ის იყო, სახლიდან უნდა გავსულიყავით, რომ ჭიშკართან საავადმყოფოს მთავარი ექიმის სამსახურებრივი მანქანა გაჩერდა - ქალბატონ დალილას გამოევზავნა ჩემს წასაყვანად. საავადმყოფოში მისულს კი ბევრად უფრო გასაოცარი სიურპრიზი მელოდა - კიბეები, რომელიც უნდა ამევლო და მთელი დერეფანი, სულ ერთიანად ყვავილებით იყო მორთული. გაოგნებული ვიყავი. საავადმყოფოში რამდენჯერმე ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი რამ ადრე არ შემიმჩნევია - აშკარა იყო, რომ ეს ყველაფერი საგანგებოდ ჩემთვის იყო ჩაფიქრებული. ყველა კაბინეტში, სადაც კი მთავარმა ექიმმა შემიყვანა, თანამშრომლები ღიმილით და ყვავილებით მეგებებოდნენ, თითქოს მე კი არა, ვინმე მაღალიჩინოსან, საპატიო სტუმარს ხვდებოდნენ. გული ემოციებისგან ამოვარდნაზე მქონდა, უბედნიერესი ადამიანი ვიყავი და არც ვცდილობდი, დამემალა სიხარულისგან და უხერხულობისგან მოწოლილი ცრემლები. სულ ბოლოს კი ქალბატონმა დალილამ ერთ ცარიელ, კეთილმოწყობილ, სავარძლიან და ტელეფონიან კაბინეტში შემიყვანა და მითხრა, დღეიდან ეს შენი კაბინეტი იქნებაო... ამ ბოლო სიურპრიზმა სულ ერთიანად დამაბნია, გაოგნებული ვათვალიერებდი ჩემს სამუშაო ოთახს და ვფიქრობდი, ვიყავი კი ღირსი ამ ყველაფრის, ასეთი მიღების, ამოდენა პატივის, ამ მიუჩვეველი დღესასწაულის...

მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცოდი (დღემდე არ ვიცი) რა ერქვა ჩემს „თანამდებობას“ გალის საავადმყოფოში, ძალასა და ენერგიას არ ვიშურებდი, რომ ამხელა ნდობა და პატივი გამემართლებინა - რასაც დამავალებდნენ, ყველაფერს დიდი გულმოდეგინებით ვასრულებდი. ხან ბიბლიოთეკას ვეხმარებოდი, ხან - კანცელარიას, ხან სად ვიყავი და ხან - სად, ვცდილობდი, ყველას დაგეხმარებოდი და თავი არ შემერცხვინა. სამსახურში, კვლავინდებურად, მთავარი ექიმის მანქანას დავყავდი, იშვიათად, თუ ჩემები მომაკითხავდნენ. განსაკუთრებული სიყვარულისა და ყურადღების გარემოცვაში მყოფს მეგონა, რომ სულ ასე გაგრძელდებოდა, მაგრამ...

ეს იყო ჩემს ცხოვრებაში პირველი და, სამწუხაროდ, უკანასკნელი შემთხვევა, როცა თავი სულ სხვა ადამიანად, საზოგადოების სრულ-ფასოვან წევრად ვიგრძენი, როცა ყოველი ცისმარე დღის გათენება მიხაროდა, სამსახურში ფრთაშესხმული მივიჩქაროდი და დღის ბოლოს შინ ახალი შთაბეჭდილებებით დახუნძლული ვბრუნდებოდი.

...მერე ომი დაიწყო, ქვეყანა აირია, ჩვენ მშობლიური სახლკარი-დან გამოგვაძევეს, ძმაც გარდამეცვალა და ჩემი ეს ბედნიერებაც, სხვა ყველაფერთან ერთად, დამთავრდა.

სტიგმა ისევ მოქმედებს

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ყველაფერში შეზღუდულობას. ადვილი შესაძლებელია, ამა თუ იმ სფეროში სწორედ „შეზღუდულმა“ მიაღწიოს უფრო დიდ წარმატებას, ვიდრე „შეუზღდუდავმა“, ანუ სრულფასოვანმა ადამიანმა. ამ შემთხვევაში მთავარია განწყობა და მოტივაცია, როგორც უშუალოდ პიროვნების, ასევე, საზოგადოების მხრიდან. არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდეც პრობლემატურია ცერებრალური დამბლით დაავადებული, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სხვა ნებისმიერი პირის რეაბილიტაციის, მისი საზოგადოებაში ინტეგრირების საკითხი. დასაქმებულთა შორის იშვიათად ნახავთ ყავარჯინანებს, ეტლით ან გადაადგილების სხვა საშუალებებით მოსარგებლეთ. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება, რომელიც დასავლური ფასეულობებისა და ლირებულებების დამკვიდრებისკენ მიისწრაფის, ჯერ კიდევ არ არის მზად, გადალახოს ცნობიერებაში მყარად გამჯდარი სტერეოტიპი ჩვენი კატეგორიის ადამიანთა მიმართ.

...წლების წინ, როცა აფხაზეთიდან გამოდევნილები ღუდუშაურის საავადმყოფოს ვაფარებდით თავს, დედაჩემმა ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე სილამაზის სალონს მიაკითხა, უამბო ჩემ შესახებ, უთხრა, რომ „პედიკურშად“ მუშაობის გამოცდილება მქონდა (გალის ერთ-ერთ სალონში მქონდა გავლილი სტაჟირება) გამაჩნდა სათანადო სერთიფიკატიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ცივი უარი სტკიცეს - ჩვენ სილამაზეს ვემსახურებით და ასეთი ადამიანი იმიჯს შეგვიღახავსო.

ეს ამბავი, მართალია, წლების წინ მოხდა, მაგრამ არა მგონია, დღეს ჩემნაირი ადამიანების მიმართ იგივე ზღუდე და სტიგმა არ მოქმედებდეს.

სარჩევი

მკითხველს	4
ლექსები	7
ჩანაწერები	137

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ სტეფაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47

E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22

„ძნელი იყო 30 ოპერაციის გადატანა... საავადმყოფო ჩემთვის სახლიც იყო და სკოლაც...“ (გვ. 146)

„მაქვს გრძელი, ბოლოში ლურსმანმიქედებული ჯოხი, რომლითაც შემიძლია გავაღო და დავკეტო კარი, ყველა ნივთს მიუუჩინო თავისი ადგილი...“ (გვ. 140)

„ზურვის გაუსაძლისი ტკივილის მიუხედავად, ყველაფერი ვცდილობ, ჩემით გავაკეთო, მარცხენა ხელით, რადგან მარჯვენა დიდი ხანია, არ მემორისილება. როგორ ვახერხებ? დიდი წვალების, ხანგრძლივი ვარჯიშებითა და წლების განმავლობაში გამომუშავებული წესრიგითა და ჩვევებით...“ (გვ. 140)

„წლების წინ, როცა აფხაზეთიდან გამოდევნილები ლუდუშაურის საავადმყოფოს ვაფარებდით თავს, დედაჩემმა ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე სილამაზის სალონს მიაკითხა, უამბო ჩემ შესახებ, უთხრა, რომ „პედიკურშად“ მუშაობის გამოცდილება მქონდა, გამარჩდა სათანადო სერთიფიკატიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ცივი უარი ტკიცეს - ჩვენ სილამაზეს ვემსახურებით და ასეთი ადამიანი იმიჯს შეგვიღახავსო...“ (გვ. 167)

„პირველი ეტაპი ანზორ ერქომიაშვილმა ჩამომიტანა იტალიიდან...“ (გვ. 161)

„ჩემი თავი საქვეყნოდ ცნობილმა ფურნალისტმა მედეა გეგეშიძემ მთელ საქართველოს გააცნო...“ (გვ. 153)

„ეს იყო ჩემს ცხოვრებაში პირველი და, სამწუხაროდ, უკანასკნელი შემთხვევა, როცა თავი სულ სხვა ადამიანად, საზოგადოების სრულფასოვან წევრად ვიგრძენი...“ (გვ. 164)

„ფილარმონიას რომელილაც მხრიდან ჰქონია პანდუსისნაირი შესასვლელი, სადაც ვახტანგ ტატიშვილი მელოდებოდა ალექსანდრე ბასილაგა და ვემალ ბალაშვილთან ერთად...“ (გვ. 162)



9 789941 1540655